კომპანიაში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 20). ინფორმაცია ამ ერთეულების საწყისი და ბოლო ნაშთების შედარების თაობაზე მოცემულია შენიშვნაში 20. შესწორებათა გარდამავალი მუხლების შესაბამისად, ჯგუფმა წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. გარდა 20 შენიშვნის დამატებითი განმარტებისა, შესწორების ამოქმედებას კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წლების ციკლში შესული შესწორება ფასს 12-ში. ამავე ციკლში შედის სხვა შესწორებები, რომელთა ამოქმედება ჯერ სავარაუდო არ არის და ჯგუფს მათი გამოყენება ადრეულად არ დაუწყია (ქვემოთ იხილეთ ახალი და რედაქტირებული, ჯერ არამოქმედებული ფასს-ების სია).

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში ფლობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შეღავათია, რაც ჯგუფს ამგვარი წილებისათვის ფასს 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებიდან ათავისუფლებს.

ამ შესწორებათა ამოქმედებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ჯგუფს ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან¹;
- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;
- შესწორება ფასს 9 - საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი²;

¹ ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

² ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფას 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფას-ში 9 შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფას 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფას 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფას 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- *ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.* ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც ფას 9-ის მოქმედების არეალში ხდება, თავდაპირველად უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების ამოღებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ იზომება ამორტიზებული ღირებულებით. მეორე კატეგორიაა სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ამოღებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით, აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც მხოლოდ ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებს წარმოადგენს. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალურ ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფას 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა თუ პირობითი ანაზღაურებისა, რომელსაც ბიზნეს-კომპანიაციაში შემსყიდველი აღიარებს) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდის სახით შემოსავლები ასახოს.
- *ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.* ფინანსური ვალდებულებები ასევე ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკუთარ საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფას 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკუთარისაკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ამგვარი ცვლილების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში არ შექმნის ან გაზრდის საბუღალტრო შეუსაბამობას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა ასახება მოგება-ზარალში.
- *გაუფასურება.* ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ფას 9 მოითხოვს ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელისგან განსხვავებულია. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი, საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- *ჰეჯირების აღრიცხვა.* ჰეჯირების აღრიცხვის ახალ მოთხოვნაში შენარჩუნებულია ამჟამად ბასს 39-ით გათვალისწინებული ჰეჯირების აღრიცხვის სამი მექანიზმი. ფას 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან

მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას ჯერ არ დაუსრულებია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით, ჯგუფის ხელმძღვანელობამ წინასწარ განჭვრიტა, რომ ფასს 9 ძირითადად იმოქმედებდა სამშენებლო კონტრაქტებიდან მისაღებ მოთხოვნებსა და სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე. ამოსავალი პრინციპი ამ თვალსაზრისით არის მოსალოდნელი ზარალის მოდელის შედარება მიღებული ზარალის მოდელთან. ხელმძღვანელობა მოელის, რომ სამშენებლო კონტრაქტებიდან მისაღებ მოთხოვნებზე მოსალოდნელი ზარალის მიდგომას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ექნებოდა გაწეული ზარალის მიდგომით გამოთვლილ გაუფასურებაზე. საზოგადოდ, ხელმძღვანელობას აზრით, ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის გამოყენება გამოიწვევს შესაბამის ერთეულზე საკრედიტო ზარალის უფრო ადრეულ აღიარებას და გაზრდის დანაკარგების რეზერვის თანხას.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს შემოსავლის აღიარების ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა კონკრეტულ სცენარებს. ასევე შემოდიხს შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 15-ის განმარტებები, რომელიც უკავშირდება ფინანსური შედეგების ნაკისრი ვალდებულებების იდენტიფიკაციას, ძირითად ანაზღაურებასა და აგენტის ანაზღაურებას, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენებას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აპირებს, ფასს 15-ზე გადასასვლელად გამოიყენოს მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდი.

გარდა ჯგუფის შემოსავლის ტრანზაქციებზე უფრო ვრცელი განმარტებების წარმოდგენისა, ხელმძღვანელობას ჯერ სარწმუნოდ არ შეუფასებია ფასს 15-ის ეფექტი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებზე.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

გარდა ამისა, ფასს 16 მოითხოვს მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთებას.

ხელმძღვანელობას ახალი სტანდარტის ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჯერ არ შეუფასებია.

ფაისკ 22 სავალუტო ოპერაციები და საფანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს „ტრანზაქციის თარიღი“ აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, აუნაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებებიც პროსპექტიული გამოყენების შემთხვევებისათვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან იგი უკვე იყენებს ფაისკ 22-ში მითითებულ მიდგომას.

ფასი 23 - მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფასი 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო გაანგარიშების ფორმას;
- თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევო ბუღალტრული გაანგარიშების შესაბამისად.
- უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია წინა რიცხვით ცოდნის ეფექტის გარეშე) ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს შესაბამის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციების აღიარების ფასი 23-ში მითითებული მიდგომის პრინციპებს.

შესწორებები ფასი 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით

ეს შესწორებები მიზნად ისახავს იმ გაუთვალისწინებელი შედეგების გამოსწორებას, რაც „გონივრული დამატებითი ანაზღაურების“ ცნების შემოტანამ მოიტანა. შესწორებების მიხედვით, შესაძლებელია, თუ რამდენიმე კონკრეტული კრიტერიუმი დაკმაყოფილდა, ისეთი წინასწარი გადახდის უფლების მქონე ფინანსურმა აქტივებმა, რომლის მიხედვით უფლების მფლობელმა შეიძლება მიიღოს ანაზღაურება ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, დააკმაყოფილოს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ პირობა.

გარდა ამისა, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე განიხილა იმ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი, რომლებიც მოდიფიცირდება ან გაიცვლება მათი ჩამოწერის გარეშე და, შედეგად, შედის ამ საკითხს მიმდევრულ ორ პარაგრაფში სათაურით „დასკვნის საფუძველი“. ამ პარაგრაფებში საბჭო აცხადებს, რომ ამგვარი შემთხვევების ბუღალტრული გაანგარიშება ისეთივეა, როგორც ფინანსური აქტივის მოდიფიცირების შემთხვევაში. თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვალა, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს მოგების ან ზარალის ასახვას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შესწორება ძალაში შედის რეტროსპექტიულად 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიკური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, თუ როდის ხდება შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასი 9-ის პირველ გამოყენებასთან მიმართებაში.

ფასი-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ფასი 1 და ბასი 28-ში, რომლებიც ჯერ კომპანიისათვის სავალდებულო არ არის. პაკეტში აგრეთვე შედის ფასი 12-ის შესწორება, რომელიც უკვე სავალდებულოა მიმდინარე წელს - გამოყენების დეტალები იხილეთ ქვეთავში „ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მოქმედი ფასი-ების“ თაობაზე.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციას და მსგავს პირებს შეუძლიათ მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში არსებული მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ინვესტიციები ასახონ ინდივიდუალურად თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსათვის. ეს არჩევანი კომპანიამ უნდა გააკეთოს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას. ისეთი

პირის ოფციის შემთხვევაში, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მისი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების, ამავდროულად, საინვესტიციო კომპანიების მიერ გამოყენებული რეალური ღირებულებით ასახვის შენარჩუნების თავისუფლება, მაშინ, როდესაც თავად კომპანია წრფივ მეთოდს იყენებს, შესწორება ასევე განმარტავს, რომ კომპანიას ამ მიდგომის გამოყენება შეუძლია თითოეული მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პირები საინვესტიციო კომპანიებია. შესწორებები ძალაშია რეტროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

როგორც ფასს 1-ის, აგრეთვე ბასს 28-ის შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ჯგუფი ამჟამად ფასს-ებს უკვე იყენებს და ვენჩურული კაპიტალით დაფუძნებული ორგანიზაცია არაა. გარდა ამისა, ჯგუფს არ გააჩნია დაკავშირებული პირი ან ერთობლივი საწარმო, რომელიც თავად იქნებოდა საინვესტიციო კომპანია.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

შესაბამისობა- წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი მოქმედ საწარმოს წარმოადგენს და ოპერაციებს განჰყვრეტად მომავალშიც გააგრძელებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის

მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ჯგუფი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის და/ან განმარტების მიზნებისათვის რეალური ღირებულება ამგვარ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

საოპერაციო და საპრეზენტაციო ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის, მისი შვილობილი და ასოცირებული საწარმოების საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში მოცემული ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

კონსოლიდირების საფუძველი – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და კომპანიის მიერ კონტროლირებადი საწარმოს (შვილობილი კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა, როდესაც კომპანიას გააჩნია:

- ა) ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე
- ბ) მონაწილეობა ან უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე; და
- გ) ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა ინვესტორის უკუგების ოდენობასთან დაკავშირებით.

კომპანია აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტირების ობიექტს, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ ზემოთ მოყვანილი სამი ელემენტიდან ერთში ან მეტში მოხდა ცვლილება.

როდესაც კომპანია ინვესტირების ობიექტში ფლობს ხმის უფლებათა უმრავლესობაზე ნაკლებს, მას ძალაუფლება გააჩნია, თუ მისი ხმის უფლება მას ანიჭებს პრაქტიკულ შესაძლებლობას, ცალმხრივად გაუძღვეს პირის შესაბამის საქმიანობას. იმის დასადგენად, არის თუ არა ფლობილი ხმების რაოდენობა საკმარისი ინვესტირების ობიექტზე ძალაუფლების განსახორციელებლად, კომპანია აფასებს შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებს:

- კომპანიის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობა სხვა მფლობელების მიერ ფლობილი ხმების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებსა თუ სხვა პირების მიერ ფლობილი პოტენციური ხმის უფლებები;

- სხვა საკონტრაქტო გარიგებიდან წარმოშობილი უფლებები; და
- ნებისმიერი სხვა ფაქტი და გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიას ამჟამად აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გაუძღვას შესაბამის საქმიანობას გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის მომენტში, მათ შორის, აქციონერთა წინა კრებებზე ხმათა გადანაწილების გათვალისწინებით.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც კომპანია მასზე კონტროლს მოიპოვებს და წყდება, როდესაც ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული

შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში შედის იმ დღიდან, როდესაც კომპანია კონტროლს მოიპოვებს და გრძელდება იმ დღემდე, როდესაც კომპანია კონტროლს კარგავს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეწერება კომპანიის მფლობელებსა და უმცირესობის წილებს. შვილობილი კომპანიების მთლიანი სრული შემოსავლები კომპანიის მფლობელებსა და უმცირესობის წილებს მიეწერება მაშინაც კი, თუ ამის შედეგად უმცირესობის წილებს უარყოფითი ნაშთი გამოუდით.

აუცილებლობის შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ისე კორექტირდება, რომ მათი საბუღალტრო პოლიტიკა ჯგუფის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს.

ჯგუფის შიგნით ყველა აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული კონსოლიდირებისას სრულად იქვითება.

ცვლილება არსებულ შვილობილ კომპანიებში ჯგუფის კუთვნილ წილებში. ცვლილება არსებულ შვილობილ საწარმოებში ჯგუფის კუთვნილ წილში, რომელიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც წილობრივი ტრანზაქცია. ჯგუფის წილებისა და უმცირესობის წილების საბალანსო ღირებულებები კორექტირდება ისე, რომ მათში აისახოს შვილობილ საწარმოებში ფლობილი ფარდობითი წილის ცვლილება. ნებისმიერი სხვაობა კორექტირების თანხასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება პირდაპირ კაპიტალში და მიეწერება კომპანიის მფლობელებს.

როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება და გამოითვლება როგორც სხვაობა (1) მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებისა და შენარჩუნებული წილის ჯამსა და (2) აქტივების (გუდვილის ჩათვლით) წინა საბალანსო ღირებულებისა და შვილობილი საწარმოს ვალდებულებებისა და უმცირესობის წილების ჯამს შორის. მანამდე სხვა სრულ შემოსავალში ამ შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა აღირიცხება ისე, როგორც მოხდებოდა, ჯგუფს პირდაპირ რომ გაეყიდა შვილობილი კომპანიის შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები (ანუ გადადის მოგება-ზარალში ან გადაიტანება კაპიტალის სხვა კატეგორიაში, შესაბამისი ფასს-ის თანახმად). კონტროლის დაკარგვის დღეს ყოფილ შვილობილ საწარმოში შენარჩუნებული ინვესტიციის რეალური ღირებულება, ბასს 39-ის მიხედვით, ითვლება რეალურ ღირებულებად საწყისი აღიარებისას, ან, ხარჯად ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას.

ბიზნესის გაერთიანება. ბიზნესის შესყიდვა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. ბიზნესის გაერთიანებისას გადახდილი ანაზღაურება იზომება რეალური ღირებულებით, რომელიც ითვლება, როგორც შესყიდვის დღეს ჯგუფის მიერ გადაცემული აქტივების რეალური ღირებულების, ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ყოფილი მფლობელების მიმართ გაწეული ვალდებულებებისა და ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის კონტროლის სანაცვლოდ გაცემული წილების ჯამი. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ჩვეულებრივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც გაწეული.

შესყიდვის დღეს გამოვლენადი შესყიდული აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები აღიარდება შესყიდვის დღის რეალური ღირებულებით, შემდეგი გამონაკლისით:

- ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია შესყიდული ობიექტის აქციებით გადახდის წესთან ან ჯგუფის აქციებით გადახდის წესთან, რომლებიც პირველს ანაცვლებს, შესყიდვის დღეს აღირიცხება ფასს 2 „აქტივზე დაფუძნებული გადახდა“; და
- აქტივები (ან აქტივთა ჯგუფები), რომლებიც გასაყიდად განკუთვნილია კლასიფიცირებული ფასს 5 „გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ თანახმად, იზომება ამავე სტანდარტით.

გუდვილი აღირიცხება იმ თანხით, რომლითაც, ერთი მხრივ, გადახდილი ანაზღაურების, შესყიდვის ობიექტში უმცირესობის წილების ოდენობისა და შესყიდული ობიექტის მიერ შესყიდვის ობიექტში მანამდე ფლობილი წილის რეალური ღირებულების ჯამი, აჭარბებს, მეორე მხრივ, შესყიდვის დღეს შესყიდული გამოვლენადი აქტივების ღირებულებისა და ნაკისრი ვალდებულებების სხვაობას. თუ, გადაფასების შემდეგ, შესყიდვის დღისათვის შესყიდული გამოვლენადი აქტივების ღირებულებისა და ნაკისრი ვალდებულებების სხვაობა აჭარბებს გადახდილი ანაზღაურების, შესყიდვის ობიექტში უმცირესობის წილების ღირებულებასა და შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტში მანამდე ფლობილი წილის (თუ ასეთი არსებობდა) რეალური ღირებულების ჯამს, სხვაობა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც მოგება ხელსაყრელი ვაჭრობის შედეგად.

უმცირესობის წილები, რომლებიც წარმოდგენილია ფლობილ წილში და მათ მფლობელს აძლევს უფლებას, მიიღოს პროპორციული წილი სუბიექტის წმინდა აქტივებიდან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შეიძლება თავდაპირველად გაიზომოს რეალური ღირებულებით ან შესყიდული ობიექტის დადგენადი წმინდა აქტივების აღიარებული ღირებულების იმ წილით, რომელიც არასაკონსტროლო წილის პროპორციულია. უმცირესობის წილების სხვა სახეობები იზომება რეალური ღირებულებით, ან სხვა ფასს-ში მოცემულ საფუძველზე.

როდესაც ბიზნესის გაერთიანებისას ჯგუფის მიერ გადახდილი ანაზღაურება მოიცავს პირობითი ანაზღაურების შედეგად არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს, ეს პირობითი ანაზღაურება იზომება შესყიდვის დღის რეალური ღირებულებით და შედის გადახდილ ანაზღაურებაში. პირობითი ანაზღაურების რეალური ღირებულების ცვლილება, რომლებიც აკმაყოფილებს საანგარიშო პერიოდის კორექტირების განსაზღვრებას, კორექტირდება რეტროსპექტიულად, გუდვილის შესაბამისი შესწორებით. საანგარიშო პერიოდის კორექტირება არის ისეთი კორექტირება, რომელიც წარმოიშობა საანგარიშო პერიოდის (არ შეიძლება იყოს შესყიდვის დღიდან ერთ წელიწადზე მეტი) განმავლობაში შესყიდვის დღისათვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების შედეგად.

შემდგომი აღრიცხვა პირობითი ანაზღაურების რეალური ღირებულების ცვლილებისა, რომელიც არ ითვლება საანგარიშო პერიოდის კორექტირებად, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ კლასიფიცირდება პირობითი ანაზღაურება. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირებულია კაპიტალად, არ გადაფასდება შემდგომ საანგარიშო დღეს და მისი შემდგომი ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალში. ის პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც აქტივი ან ვალდებულება, გადაფასდება შემდგომ საანგარიშო დღეს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა“ ან ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მიხედვით, ხოლო შესაბამისი მოგება ან ზარალი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშში.

როდესაც ბიზნესების გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტში ჯგუფის მიერ მანამდე ფლობილი წილი გადაფასდება რეალური ღირებულებით შესყიდვის დღეს (ანუ იმ დღეს, როდესაც ჯგუფი იძენს კონტროლს), ხოლო შესაბამისი მოგება ან ზარალი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშში. შესყიდვის ობიექტში შესყიდვის დღემდე არსებული წილებიდან წარმოშობილი თანხები, რომლებიც მანამდე აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავლებში, რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალის ანგარიშში, თუ ამგვარი მიდგომა რელევანტური იქნებოდა ამ წილის გაყიდვის შემთხვევაში.

თუ ბიზნესის გაერთიანების თავდაპირველი აღრიცხვა იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანება ხდება, არასრულია, ჯგუფი უჭვენებს პირობით თანხებს იმ ელემენტებზე, რომლებიც არასრულადაა აღრიცხული. ეს პირობითი თანხები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კორექტირდება (იხ. ზემოთ) ან დამატებითი აქტივები ან ვალდებულებები ისე აღიარდება, რომ ამან სათანადოდ უჭვენოს შესყიდვის დღეს არსებული ისეთი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ მიღებული ახალი ინფორმაცია, რომლებიც იმ დღეს ზეგავლენას მოახდენდა აღიარებული თანხების ოდენობაზე.

ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში. ასოცირებული საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირი თუ ირიბი), მაგრამ არა - კონტროლი. ასოცირებულ საწარმოებში ინვესტიციები აღირიცხება წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აღიარდება ხარჯად. ასოცირებული საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები აკლდება ასოცირებულ პირში არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. სხვა შესყიდვის შემდგომი ცვლილებები ასოცირებული პირის წმინდა აქტივებში ჯგუფის კუთვნილ წილში აღირიცხება შემდეგნაირად: (1) ასოცირებული საწარმოს მოგება-ზარალში ჯგუფის წილი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში აღირიცხება როგორც ასოცირებული საწარმოს არსებობის ფინანსური შედეგის წილი, (2) სხვა სრულ შემოსავალში ჯგუფის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილი იქნება განცალკევებულად, (3) ყველა სხვა ასოცირებულ საწარმოთა წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის კუთვნილი წილის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში ასოცირებული პირის ფინანსური შედეგის წილად.

თუმცა, თუ ასოცირებულ საწარმოში ზარალის ჯგუფისეული წილი გაუტოლდა ან გადააჭარბა ამ საწარმოში არსებულ მის წილს, მათ შორის, რაიმე სხვა უზრუნველყოფის გარეშე არსებულ მოთხოვნებს, ჯგუფი არ აღრიცხავს დამატებით ზარალს, თუ მას რაიმე ვალდებულება არ ეკისრება ან უკვე არ მოახდინა რაიმე თანხების გადახდა ასოცირებული საწარმოს სახელით.

ჯგუფისა და მის ასოცირებულ საწარმოებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგება იქვეითება ასოცირებულ პირებში ჯგუფის მიერ ფლობილი წილიდან; იგივე ხდება არარეალიზებული ზარალის შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ წარმოადგენს აქტივის გაუფასურების გადატანის მტკიცებულებას.

უცხოური ვალუტები. ჯგუფში შემავალი თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით აღიარებული არამონეტარული ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში ასახული არამონეტარული ერთეულები არ კონვერტირდება.

მონეტარულ ერთეულებზე საკურსო სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში. ეს არ ეხება საკურსო სხვაობას უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც სამომავლო წარმოებისათვის შექმნის პროცესში მყოფ აქტივებთანაა დაკავშირებული და ამ აქტივების ღირებულებაში შევიდა, როდესაც ისინი ჩაითვალა ამ უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯის კორექტირებად.

ჯგუფის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ლარი /1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან ეკონომიკური სარგებლის მიიღება. მცირე მასშტაბის რემონტი ხარჯად აღიარდება ჩატარების მომენტში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგილი ჰქონდა ცვილებას აქტივის ხმარებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯთან ერთად.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით და მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალების კატეგორია

ცვეთის განაკვეთი

მანქანა-დანადგარები	20 %
ავტო სატრანსპორტო საშუალებები	20 %
შენობა-ნაგებობები	5 %
საოფისე ტექნიკა	20 %

მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება მის დასრულებამდე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი იმ მომენტში მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის სავარაუდო ხარჯის გამოკლებით, ეს აქტივი ასაკითა და მდგომარეობით სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს რომ შეესაბამებოდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადა გადაიხედება და კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება ის ქონებაა, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო გადასახადის გამოსამუშავებლად ან/და კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ღირებულებით იზომება, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარდება, როგორც გაუფასურების ხარჯი. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის განაკვეთი შენობა-ნაგებობებზე 5% შეადგენს. თავისუფალ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

გაუფასურების ანალიზისა და განმარტების მიზნებისათვის ჯგუფი თავად განსაზღვრავს საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულებას. ჯგუფს გააჩნია პროფესიული კვალიფიკაცია საინვესტიციო ქონების შესაფასებლად.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი რეალიზაციის შემთხვევაში, ან თუ საინვესტიციო ქონების ექსპლუატაცია წყდება და რეალიზაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება სავარაუდო აღარაა. ქონების აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი მოგება ან ზარალი (რომელიც ითვლება რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავლისა და აქტივის საბალანსო ღირებულების სხვაობა) შედის აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგება-ზარალში.

თუ საინვესტიციო ქონება იჯარით არ გაიცა, იგი რეკლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება, ხოლო საბალანსო ღირებულება ამ მომენტში ხდება მისი ნაგულისხმევი ღირებულება.

შემდგომი ხარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ სავარაუდოა, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ამ ხარჯთან დაკავშირებულ ეკონომიურ სარგებელს, ხოლო მისი ოდენობის გაზომვა სარწმუნოა და შესაძლებელი. ყველა სხვა რემონტისა და შენახვის ხარჯი გაწევის მომენტში აღირიცხება.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, საზღვრული სასარგებლო მოხმარების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს შეძენილ კომპიუტერულ და ბუღალტრული პროგრამების ლიცენზიებს, რომელთა ღირებულება აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით მთელი სასარგებლო ვადის განმავლობაში აქტივის გამოყენების ვადის დადგომის მომენტიდან. კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიის მიახლოებითი მოხმარების ვადაა 5 წელი, ბუღალტრული პროგრამისა კი - 10 წელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ავანსები. ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს ჯგუფი მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებაზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები დგინდება ძალაში საანგარიშო დღეს სრულად ან ნაწილობრივ ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე

გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალში იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში, რადგან ისეთ ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ასევე აღიარებულია პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმავე თუ სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი განისაზღვრება სავარაუდოდ, თუ ფინანსური ანგარიშების ავტორიზება ხდება საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. სხვა გადასახადები აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება იანგარიშა, როგორც თითოეული კონსოლიდირებული პირის საგადასახადო ვალდებულებათა ჯამი.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. სამომავლო მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება იმას, არის თუ არა ფინანსური ანგარიშები დამტკიცებული საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

ჯგუფი აკონტროლებს იმ დროებითი სხვაობების აღდგენას, რომლებიც შვილობილი საწარმოებიდან მიღებულ დივიდენდებთან ან მათი რეალიზაციისას მიღებულ მოგებასთანაა დაკავშირებული. ჯგუფი არ აღიარებს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს ამგვარ დროებით სხვაობებზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობის აზრით, დროებითი სხვაობები განჭვრეტად მომავალში აღდგენას დაექვემდებარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას ზოგიერთ ტრანზაქციაზე, რომლებიც მოგების განაწილებათ ითვლება, მაგალითად, ტრანზაქციებზე, რომლებიც ხორციელდება არასაბაზრო ფასებით, ისეთ ხარჯებზე, რომლებიც ბიზნესთან დაკავშირებული არ არის, ან საქონლის ან მომსახურების უფასოდ მიწოდებაზე. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბაზს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადების მსგავსად, ბაზს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; თანხის ანაზღაურება, თუ ასეთი მოხდა, აღირიცხება აქტივად, თუ ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

ჯგუფი შემოსავლების სამსახურიდან მისაღებ საგადასახადო აქტივს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებს არარეზიდენტებზე გაცემულ სესხებზე ამ არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში გადასახადის გადახდისას.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე ჯგუფში შემავალი თითოეული კომპანიისათვის და განისაზღვრება როგორც აქტივი ან ვალდებულება. მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

დასაკუთრებული ქონება. ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება აქტივების დასაკუთრება გადახდისუუნარო სამშენებლო კონტრაქტების შემთხვევაში. დასაკუთრებული აქტივების აღიარება ხდება უმცირესი ღირებულებით საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ქვემოთ აღწერილი წესით:

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-ჰოლდინგურ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღირიცხვა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ინდივიდუალურად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთ გადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სესხებისა და მოთხოვნების“ კატეგორიაში.

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებადი ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. ისინი შედის მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაფარვის ვადა საანგარიშო დღის შემდეგ 12 თვეს აღემატება. ასეთი აქტივები გრძელვადიანად კლასიფიცირდება.

ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სამშენებლო მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, ბანკებში ვადიან დეპოზიტებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

სამშენებლო მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ვადიანი დეპოზიტები ბანკებში და გაცემული სესხები. სამშენებლო მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ვადიანი დეპოზიტები ბანკებში და გაცემული სესხები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ექვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც იგი გაიწევა ერთი ან მეტი ისეთი მოვლენის შედეგად, რაც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელმაც ზეგავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან მისი ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და დროზე, თუ ამ ორის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი. თუ ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივი, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, გაუფასურდა, ჯგუფს ეს აქტივი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების ჯგუფში და ჯგუფურად ამოწმებს მათ გაუფასურებას. ძირითადი ფაქტორები გაუფასურების ხარისხის დადგენისას არის ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზაციის შესაძლებლობა. გაუფასურების მტკიცებულების დასადგენად აგრეთვე იყენებენ სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, როგორებიცაა:

- აქტივის ნაწილი ვადაგადაცილებულია და გადახდის დაგვიანება ვერ აიხსნება ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული შეცოვნებით;
- კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაზეც მოწმობს ჯგუფის მიერ მიღებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად, კონტრაგენტის გადახდისუუნარობა გაუარესდა; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა გაუარესებული საბაზრო პირობების გამო.

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები ხელახლა შეთანხმა ან სხვაგვარად შეიცვალა კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, პირობების შეცვლამდე გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ხარჯის აღიარება ყოველთვის ხდება რეზერვის ანგარიშით და აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დადის (ამ უკანასკნელიდან გამოკლებულია ჯერ არგაწეული სამომავლო საკრედიტო დანაკარგები), რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება ის ფულადი ნაკადები, რომლებიც ჯგუფმა შეიძლება მიიღოს საკონტრაქტო საქონლის შენარჩუნებით, უზრუნველყოფის მიღება-გაყიდვის ხარჯის გამოკლებით, იმის მიუხედავად, რეალურია თუ არა საქონლის შენარჩუნება.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ხარჯის ოდენობამ დაიკლო და ეს კლება ობიექტურად შეიძლება მიეწეროს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას (მაგალითად, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ხარჯი აღდგება და სარეზერვო ანგარიშში შესწორდება მოგება-ზარალის მეშვეობით. ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვის მიმართ ამოღების ყველა პროცედურის დასრულებისა და ზარალის ოდენობის დადგენის შემდეგ. უკვე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება აღირიცხება წლის მოგება-ზარალის გაუფასურების ზარალის ანგარიშში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც (ა) აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ ჯგუფმა სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, იმავდროულად (1) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან (2) ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად. ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ნასესხებ სახსრებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება დღ-ის ჩათვლით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. რეალური ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარულ თანხას შორის მოგება-ზარალში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების პერიოდში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს ეყრდნობა.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს რეგულირებით ან საბაზრო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში აქტივის მიწოდებას (ანუ „ჩვეულებრივი“ ყიდვა-გაყიდვა) აღირიცხება ვაჭრობის დღეს, ანუ იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მხარეს მიაწვდის ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე ხდება.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობას ჯგუფის წესდება განსაზღვრავს. მისი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ საწესდებო კაპიტალად, თუ იგი ჯგუფის მფლობელის შენატანის შედეგია.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები ახსნილია „შემდგომი მოვლენების“ ქვეთავში.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, ჯგუფს ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდია, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს.

შემოსავლის აღიარება. ჯგუფი შემოსავალს იღებს სამშენებლო კონტრაქტებიდან, საქონლის რეალიზაციიდან და საოპერაციო საიჯარო გადასახადიდან. მისი პოლიტიკა შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით ახსნილია ქვემოთ:

სამშენებლო კონტრაქტები. როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოააა შესაძლებელი, შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამშენებლო საქმიანობის დასრულების ეტაპის მითითებით, ანუ ფიზიკური წილის დასრულების მიხედვით.

საკონტრაქტო სამუშაოების ცვლილება, სხვადასხვა სახის პრეტენზიები და წამახალისებელი გადახდები გაითვალისწინება მაშინ, თუ მათი ოდენობის გაზომვა სარწმუნოააა შესაძლებელი და მისი მიღებაც საკმაოდ რეალურია.

როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, საკონტრაქტო შემოსავალი აღიარდება იმ ხარჯების ოდენობით, რომელთა ამოღებაც სავარაუდოა. საკონტრაქტო ხარჯები ასეთად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯი საკონტრაქტო შემოსავალს გადააჭარბებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

როდესაც კონკრეტულ მომენტამდე გაწეული საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამი, აღიარებული ზარალის გამოკლებით აჭარბებს შუალედურ ანგარიშებს, სიჭარბეს ჯგუფი უჩვენებს როგორც საკონტრაქტო სამუშაოებიდან კლიენტებისგან მიღებულ თანხას. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, სადაც შუალედური ანგარიშები აჭარბებს ამ მომენტამდე გაწეულ საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამს, აღიარებული ზარალის გამოკლებით, სიჭარბეს ჯგუფი უჩვენებს, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებისათვის კლიენტებისთვის გადასახდელ თანხებს. სამუშაოს ჩატარებამდე მიღებული თანხები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის როგორც ვალდებულება, როგორც მიღებული ავანსები. ჩატარებული და დარიცხული სამუშაო, რომელიც კლიენტის მიერ ჯერ არ ანაზღაურებულა, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის როგორც სამშენებლო მოთხოვნა.

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და უფლების გადაცემის მომენტში, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფს აღარ აქვს არც ეფექტური კონტროლი რეალიზებულ საქონელზე და აღარც ის მართვითი მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნივთის ფლობასთან;
- შემოსავლის ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი.

საიჯარო შემოსავალი. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის მოლაპარაკება-გაფორმებასთან დაკავშირებული საწყისი პირდაპირი

ხარჯები ემატება გაქირავებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა. თუ ჯგუფი არის მეიჯარე, ისეთ იჯარაში, რომლითაც მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარისგან ჯგუფს არ გადაეცემა, წლის საიჯარო გადასახადები იჯარის ვადის განმავლობაში ირიცხება მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის ის სავალდებულო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მეიჯარე თანახმაა, იჯარით მიიღოს აქტივი და აქვს უფლება, მოითხოვოს იჯარის გაგრძელება დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისში საკმარისად ცხადია, რომ მეიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტს, გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს და საკურსო მოგებასა და ზარალს, რომლებიც ნასესხები სახსრებიდან და ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან გამომდინარეობს.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები ჯგუფს მომსახურებას უწევენ. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

4. ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ჯგუფი აკეთებს ვარაუდებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები გადაიხედება რეგულარულად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში სავარაუდოდ გამოიყურება.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ხელმძღვანელობა აგრეთვე იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ქვემოთ მოცემულია ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის მიმდინარეობისას ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს მათი რეალური ღირებულებით. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დგინდება, ეს ტრანზაქციები საბაზრო განაკვეთებით შეფასდეს თუ არასაბაზროთი, თუ მსგავსის აქტიური ბაზარი არ არსებობს. გადაწყვეტილება ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები განმარტებულია შენიშვნაში 23.

დასრულების ეტაპი. ჯგუფი სამშენებლო შემოსავალს აღიარებს ბასს 11-ის, „სამშენებლო კონტრაქტები“ მიხედვით, თითოეული სამშენებლო კონტრაქტისათვის სამუშაოს ფიზიკური წილის დასრულების განსაზღვრით. ხელმძღვანელობა კონტრაქტის დასრულების ეტაპს აფასებს საანგარიშო დღეს დასრულებული სამუშაოს ერთეულებისა და მთელი კონტრაქტის დასასრულებლად საჭირო სამუშაოს ერთეულების რაოდენობის შეფასების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა. ჯგუფი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს განიხილავს მსგავს აქტივებზე არსებული გამოცდილების მიხედვით. აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებით მოიხმარება. თუმცა, ასევე ითვალისწინებენ სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, ტექნიკურ და კომერციულ დამკველბას, ფიზიკურ ცვლას, ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა,

გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში. ხელმძღვანელობა დარწმუნად სასარგებლო მოხმარების ვადას აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობით და იმ სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივები ჯგუფისთვის სარგებლის მომტანი იქნება. ძირითადი ფაქტორებია: (ა) აქტივის გამოყენების ფორმა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვლა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული დამკველბა, რომელიც ბაზრის პირობებიდან გამომდინარეობს.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები თითოეულ საანგარიშო დღეს გადაიხედება. ვალდებულებები აღირიცხება იმ მოგების გადასახადის პოზიციებისათვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებად შენარჩუნებადი იქნება საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იმ ინტერპრეტაციების საფუძველზე, რომლებიც არსებითად თუ სრულად ძალაში იქნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღეს. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულება აღიარდება ხელმძღვანელობისეული სავარაუდო ხარჯის მიხედვით, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშო დღეს ამ ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები სავარაუდოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

უიმედო ვალების რეზერვი. ჯგუფი უიმედო ვალების რეზერვს ქმნის, რათა აღრიცხოს საპროგნოზო დანაკარგები, რომლებიც წარმოიშობა კლიენტების უუნარობისგან, დაფარონ საჭირო გადასახდელები. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მიმდინარე საერთო ეკონომიკურ პირობებს, მოთხოვნების ანგარიშის ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება დგინდება ჯგუფის შიდა შეფასებების მიერ, რომელთაც საკმარისი გამოცდილება გააჩნიათ შესაბამის ადგილებზე უძრავი ქონების შეფასების კუთხით. ჯგუფში მოქმედებს შედარების მეთოდით, რომლის მიხედვითაც უძრავი ქონების რეალური ღირებულება დგინდება უახლესი ტრანზაქციების დროს მსგავს ქონებაზე დადგენილ ფასებთან შედარებით.

შესაძლო დეფექტების ანარიცხები - ჯგუფი გარკვეული ვადით გასცემს გარანტიებს სამშენებლო დეფექტის არსებობაზე. ხელმძღვანელობა ამ გარანტიების დაკმაყოფილების ღირებულებას აფასებს ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად. შეფასება ეფუძნება ჯგუფის ისტორიულ გამოცდილებას და ხდება ინდივიდუალური პროექტის მიხედვით.

მომველებული მარაგების რეზერვი - ტექნოლოგიისა და მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილების შედეგად მომველებული, აგრეთვე გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

5. რეკლასიფიკაცია

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა რამდენიმე რეკლასიფიკაცია მათი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენის მიზნით. ხელმძღვანელობის აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე წელს შერჩეული წარმოდგენის ფორმა უკეთ ასახავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშს. რეკლასიფიკაციას 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშზე არ უმოქმედია.

971 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალში რეკლასიფიცირებული თანხა მოიცავს სხვა შემოსავლიდან რეკლასიფიცირებულ მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავალსა და საიჯარო შემოსავალს. 802 ათასი ლარის ოდენობის თანხა რეალიზაციის თვითღირებულებაში მოიცავს მასალების რეალიზაციის თვითღირებულებას, რომელიც რეკლასიფიცირდა სხვა ხარჯებიდან.

1,029 ათასი ლარის ოდენობის სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ზარალი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯებიდან რეკლასიფიცირდა სხვა ხარჯებში.

	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი		
	წინა ანგარიშგებით	რეკლასიფიცირ ებული ოდენობა	რეკლასიფიცირ ბის შემდეგ
შემოსავალი	87,650	2,093	89,743
რეალიზაციის თვითღირებულება	(72,661)	(802)	(73,463)
ადმინისტრაციული ხარჯები	(6,948)	1,029	(5,919)
ფინანსური შემოსავალი	1,527	(1,122)	405
სხვა შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	(145)	(1,198)	(1,343)

6. შემოსავალი

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფის შემოსავალი ასე გამოიყურება:

	2017	2016 (რეკლასიფიცირ ებული)
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	198,562	83,246
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5,396	5,102
სხვა შემოსავალი	1,024	1,395
სულ	204,982	89,743

7. რეალიზაციის თვითღირებულება

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგი ერთეულებისგან:

	2017	2016 (რეკლასიფიცირ ებული)
სამშენებლო კონტრაქტების თვითღირებულება (1)	163,309	69,158
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2)	5,964	3,412
გაყიდული მასალების თვითღირებულება	696	893
სულ	169,969	73,463

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

(1) სამშენებლო კონტრაქტების თვითღირებულება:

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
მომსახურება	71,776	11,041
მასალები	49,828	33,531
ხელფასები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	33,286	19,876
ცვეთა	3,779	2,681
იჯარა	2,617	772
საბანკო გარანტია	825	671
შესაძლო დეფექტების ანარიცხები	486	-
კომუნალური გადასახადები	366	211
ტრანსპორტირება	346	375
სულ	163,309	69,158

(2) რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
მასალები	4,930	2,747
ტრანსპორტირება	785	425
ცვეთა	133	98
ხელფასები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	93	89
მომსახურება	23	45
კომუნალური გადასახადები	-	8
სულ	5,964	3,412

8. ადმინისტრაციული ხარჯები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
ხელფასები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	3,952	4,109
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	925	771
პროფესიული მომსახურება	487	127
მომსახურების ხარჯები	465	16
გადასახადები და მოსაკრებლები	464	-
დაზღვევის ხარჯები	353	89
ტრანსპორტირების ხარჯები	172	99
იჯარის ხარჯები	136	88
ბანკის ხარჯები	122	92
კომუნალური გადასახადები	104	64
ქონების გადასახადი	95	291
კავშირგაბმულობა	79	58
მარკეტინგი	12	42
სხვა	191	73
სულ	7,557	5,919

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

9. სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	1,394	116
სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(შექმნა)	719	(1,029)
მარაგების რეალიზაციით მიღებული ზარალი	-	(370)
სხვა შემოსავალი	732	-
მარაგების რეზერვი	(522)	-
სხვა ხარჯები	-	(60)
სულ	2,323	(1,343)

10. მოგების გადასახადი

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	2,551
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	-	(2,109)
სულ	-	442

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს. კოდექსი ქართულ კომპანიებსა და რეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე გარკვეულ საფინანსო ინსტიტუტებსა და სადაზღვევო კომპანიებზე ვრცელდება.

წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია ჯგუფის გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის. ცვლილების შედეგად, გადავადებული საგადასახადო აქტივის ნაშთი, რომელიც წინა პერიოდებში წარმოშობილ, აღიარებულ დროებით სხვაობებს განეკუთვნებოდა, 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სრულად ჩამოიწერა.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

11. ძირითადი საშუალებები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში ძირითადი საშუალებების ცვლილება ასე გამოიყურება:

	მანქანა- დანადგარები	ავტოტრანსპორტი	შენობა- ნაგებობები	მიწა	მიმდინარე შენებლობა	საოფისე ტექნიკა	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2016	9,670	5,191	1,350	2,200	4,790	837	24,038
შესყიდვა	8,005	1,607	1,394	720	-	566	12,292
რეალიზაცია	(815)	-	-	(651)	-	(2)	(1,468)
ჩამოწერა	(126)	-	-	-	-	(5)	(131)
ღირებულება 31 დეკემბერი 2016	16,734	6,798	2,744	2,269	4,790	1,396	34,731
შესყიდვა	4,422	823	1,448	-	-	124	6,817
რეალიზაცია	(112)	(153)	(117)	(185)	-	(3)	(570)
გადატანა	-	-	4,790	-	(4,790)	-	-
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	-	-	(373)	-	-	-	(373)
ჩამოწერა	(2,610)	-	-	-	-	(51)	(2,661)
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	18,434	7,468	8,492	2,084	-	1,466	37,944
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2016	4,127	1,273	382	-	-	524	6,306
ცვეთის დარიცხვა	2,309	636	126	-	-	158	3,229
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(91)	-	-	-	-	-	(91)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016	6,345	1,909	508	-	-	682	9,444
ცვეთის დარიცხვა	3,189	883	98	-	-	203	4,373
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(2)	(16)	(99)	-	-	(1)	(118)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	(1,508)	-	-	-	-	(2)	(1,510)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	8,024	2,776	507	-	-	882	12,189
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2016 წლის 31 დეკემბერი	10,389	4,889	2,236	2,269	4,790	714	25,287
2017 წლის 31 დეკემბერი	10,410	4,692	7,985	2,084	-	584	25,755

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცვეთას სრულად დაქვემდებარებული აქტივების ღირებულებამ ძირითად საშუალებებში შეადგინა, შესაბამისად, 3,649 ათასი და 2,237 ათასი ლარი.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 6,464 ათასი და 1,170 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნა უზრუნველყოფად საბანკო სესხებთან და საკრედიტო ხაზებთან მიმართებაში.

12. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების მოძრაობა 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის დასრულებულ წლებში ასე გამოიყურება:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2016	3,510	7,276	10,786
ღირებულება 31 დეკემბერი 2016	3,510	7,276	10,786
გადმოტანა დასაკუთრებული აქტივებიდან	-	1,878	1,878
გადმოტანა ძირითადი საშუალებებიდან	-	373	373
რეალიზაცია	-	(642)	(642)
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	3,510	8,885	12,395
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2016	-	726	726
ცვეთის დარიცხვა	-	221	221
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016	-	947	947
ცვეთის დარიცხვა	-	476	476
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(245)	(245)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	-	1,178	1,178
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბრის	3,510	6,329	9,839
2017 წლის 31 დეკემბრის	3,510	7,707	11,217

საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული ნაკვეთები მდებარეობს თბილისში, ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში.

2017 და 2016 წლების დეკემბრის მდგომარეობით, 5,955 ათასი და 6,347 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების საინვესტიციო ქონება საბანკო სესხებისა და საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფად იქნა გამოყენებული.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული იქნა შესაბამის დღეს ჯგუფის შიდა შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე. მათ საკმარისი გამოცდილება გააჩნიათ უძრავი ქონების შეფასების თვალსაზრისით. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრა აშშ დოლარში საბაზრო შესაძარი მიდგომით, რომელიც მსგავს ობიექტებზე ბოლო ტრანზაქციების ფასებს ითვალისწინებს. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება იყო, შესაბამისად, 18,777 ათასი და 11,537 ათასი ლარი.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

13. აქტივები სამშენებლო კონტრაქტიდან

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
კლიენტებისგან მისაღები ანგარიშწაყენებული თანხები სამშენებლო კონტრაქტების მიხედვით	50,806	30,710
კლიენტებისგან მისაღები ანგარიშწაყენებული თანხები სამშენებლო კონტრაქტების მიხედვით	12,470	-
	63,276	30,710
გამოკლებული: ამოუღებელი თანხების რეზერვი	(1,802)	(3,157)
სულ	61,474	27,553
მიმდინარე ნაწილი	45,404	22,112
გრძელვადიანი ნაწილი	16,070	5,441
	61,474	27,553

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამშენებლო მოთხოვნებში დაკავებების ოდენობამ შეადგინა, შესაბამისად, 8,422 ათასი და 5,960 ათასი ლარი.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში, ჯგუფის სამშენებლო მოთხოვნების საშუალო საკრედიტო პერიოდი იყო 113 და 115 დღე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამშენებლო კონტრაქტების აქტივები, 5,894 ათასი ლარის ოდენობით, გამოყენებული იქნა უზრუნველყოფად საკრედიტო ხაზზე.

9 თვეზე მეტი ვადის მქონე სამშენებლო მოთხოვნები რეზერვირდება სავარაუდო ამოუღებელი თანხების საფუძველზე, რომელიც დგინდება წარსული გამოცდილების მიხედვით და რეგულარულად გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში არსებული ფაქტების გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის ხარისხის განსაზღვრისას, ჯგუფი განიხილავს თავდაპირველი აღიარების დღიდან საანგარიშო დღემდე კონტრაგენტის საკრედიტო ხარისხის ყველა ცვლილებას. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტთა ბაზა დიდი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი.

ამოუღებელი თანხების რეზერვის მოძრაობა:

	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	3,157	4,930
დამატებითი გაუფასურების რეზერვის ხარჯი	984	355
გაუფასურების რეზერვის ხარჯის ამოტრიალება	(2,339)	-
ჩამოწერა	-	(2,128)
ნაშთი წლის ბოლოს	1,802	3,157

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონია ვადაგადაცილებული და გაუფასურების გარეშე დარჩენილი სამშენებლო მოთხოვნის ნაშთები.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

გაუფასურებული სამშენებლო მოთხოვნების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
3 თვემდე	-	-
3 თვე - 1 წელი	-	2,590
1 წელზე მეტი	1,802	567
სულ	1,802	3,157

14. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვა	ვადიანობა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
შპს ლუგო ტრეიდი	8%	2017	2020	3,266	-
შპს შენი ბათუმი	7%	2015	2018	1,971	4,777
შპს ბეტა ჯგუფი	8%	2017	2018	1,319	-
გოგი ვარშალომიძე	12%	2015	2018	389	397
შპს კასტორი	13%	2016	2018	185	-
რუსუდან მაზმიამელი	12%	2015	2018	149	214
გიზა კაპიტალი	10%	2016	2017	-	291
სხვა		2015-2017	2018	806	88
სულ გაცემული სესხები				8,085	5,767
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი				(675)	(458)
გაცემული სესხები, წმინდა				7,410	5,309
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				3,266	152
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი				4,144	5,157
სულ				7,410	5,309

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 1,677 ათასი და 298 ათასი ლარი.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

15. მარაგები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნედლეული	15,432	6,302
დასაკუთრებული ქონება	1,623	3,107
სათადარიგო და გასახარჯი მასალები	1,266	939
საქონელი გზაში	290	-
სხვა	65	6
სულ მთლიანი მარაგები	18,676	10,354
გამოკლებული: მარაგებზე ზარალის რეზერვი	(522)	-
მარაგები, წმინდა	18,154	10,354

დასაკუთრებული აქტივები მოიცავს ბათუმის ცენტრში განლაგებულ კომერციულ ფართებს და სავაჭრო ცენტრებს და კურორტ კვარიათსა და ქობულეთში განლაგებულ საცხოვრებელ ბინებს. ამ აქტივების დასაკუთრება მოხდა გადახდისუნარო კონტრაქტების უზრუნველყოფის სახით დასაკუთრების შედეგად. ჯგუფი არ აპირებს რომელიმე აქტივის თავად გამოყენებასა და ამჟამად აქტიურად ეძებს პოტენციურ მყიდველს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,878 ათასი ლარი რეკლასიფიცირდა საინვესტიციო ქონებაში. იხილეთ შენიშვნა 12.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	4,908	3,676
გამოკლებული: ამოუღებელი თანხების რეზერვი	(1,325)	(1,248)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	3,583	2,428
მოთხოვნები შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან	3,169	3,169
თანამშრომელთაგან მისაღები თანხები	24	530
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	715	-
სხვა მოთხოვნები	3,908	3,699
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი	3,169	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	4,322	6,127
სულ	7,491	6,127

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის კლიენტების საშუალო საკრედიტო პერიოდი იყო შესაბამისად 204 და 201 დღე.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

ჯგუფს სრულად აქვს რეზერვირებული ყველა 90 დღეზე მეტი ვადის სავაჭრო მოთხოვნა, რადგან არსებული გამოცდილების მიხედვით, 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული მოთხოვნების ამოღება, ჩვეულებრივ, შეუძლებელია. 6 თვიდან 1 წლამდე ვადის სავაჭრო მოთხოვნებზე რეზერვი დგება საპროგნოზო ამოუღებელი თანხების მიხედვით, წარსული გამოცდილების გამოყენებით. რეზერვი რეგულარულად გადაიხედება თითოეულ საანგარიშო დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
60-90 დღე	-	-
91-120 დღე	-	-
120 დღეზე მეტი	1,325	1,248
სულ	1,325	1,248

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის ხარისხის განსაზღვრისას, ჯგუფი განიხილავს კრედიტის გაცემიდან საანგარიშო დღემდე სავაჭრო მოთხოვნის საკრედიტო ხარისხის ყველა ცვლილებას. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტთა ბაზა დიდი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. შესაბამისად, ხელმძღვანელობის აზრით, უიმედო ვალების რეზერვში კრედიტის რეზერვის დამატება საჭირო არ არის.

ამოუღებელი თანხების რეზერვის მოძრაობა:

	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	1,248	1,234
დამატებით აღიარებული გაუფასურების რეზერვის ხარჯი	614	453
გაუფასურების რეზერვის ხარჯის ამოტრიალება	-	(107)
ჩამოწერა	(537)	(332)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,325	1,248

17. მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
მარაგებზე გადახდილი ავანსები	7,700	5,139
მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	6,466	7,618
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	555	264
სხვა გადახდილი ავანსები	115	-
	14,836	13,021
გამოკლებული: ამოუღებელი თანხების რეზერვი	(166)	(129)
სულ	14,670	12,892

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

18. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაღდი ფული სალაროში	-	7
ფული ბანკში	24,126	249
ვადიანი დეპოზიტები 3 თვეზე ნაკლები ვადიანობით	-	5,444
სულ	24,126	5,700

19. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებულ ავანსებს. ჯგუფი არ აწარმოებს მიღებული ავანსების ურთიერთჩათვლას სამშენებლო მოთხოვნების მიმართ, რადგან ავანსები მიიღება სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული კონკრეტული სამუშაოებისათვის და დაწესებულია ავანსების ამორტიზების კონკრეტული პირობები.

20. ნასესხები სახსრები

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვა	ვადანობა	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015
სს საქართველოს ბანკი	8 %	28 სექტემბერი 2015	10 აპრილი 2018 31 დეკემბერი	1,204	882
შპს ლუგო თრეიდი	13 %	5 მარტი, 2015 13 ოქტომბერი	2018 31 დეკემბერი	212	950
შპს ანაგი თბილისი	10 %	2015	2018	337	488
სს საქართველოს ბანკი	10 %	18 მაისი 201	31 ივლისი 2017	-	4,678
სულ ნასესხები სახსრები				1,753	6,998

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილებები, მათ შორის ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილია ის ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კლასიფიცირდება ან მომავალში კლასიფიცირდება ფინანსური საქმიანობის ფულად ფინანსურ ნაკადებად.

	1 იანვარი 2017	წმინდა ფულადი ნაკადები (1)	წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი (არაფულადი ცვლილება)	31 დეკემბერი 2017
ნასესხები სახსრები	6,998	(5,371)	1,135	(1,038)	29	1,753
	6,998	(5,371)	1,135	(1,038)	29	1,753

(1) კონტრაგენტებისგან მიღებული სესხებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები წარმოადგენს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღებული სესხებიდან მიღებული შემოსავლისა და აღებული სესხების დაფარვის სხვაობას.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო ვალდებულებები მომსახურებისათვის ქვე-კონტრაქტორთა მიმართ	12,403	2,588
სავაჭრო ვალდებულებები მარაგებზე	5,923	3,447
სავაჭრო ვალდებულებები გრძელვადიან აქტივებზე	2,752	1,138
სულ ფინანსური ვალდებულებები	21,078	7,173
გადასახდელი ხელფასები	2,102	2,330
გადასახდელი დივიდენდები	263	-
სხვა ვალდებულებები	136	1,509
სულ არაფინანსური ვალდებულებები	2,501	3,839
სულ	23,579	11,012

22. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულების დადგენა - რეალური ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში. ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და რეალური ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შედის მე-3 დონის კატეგორიაში და განისაზღვრა ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. საშუალოდ, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, გაცემული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები - ფიქსირებულგანაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს რეალურ ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

კაპიტალის რისკის მართვა - ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სესხებისა და კაპიტალის ფარდობა ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნასესხები სახსრები	1,753	6,998
ფული და ფულის ექვივალენტები	(24,126)	(5,700)
წმინდა ნასესხები სახსრები	(22,373)	1,298
საკუთარი კაპიტალი	95,161	71,776
სესხის ფარდობა კაპიტალთან, წმინდა	(23.51%)	1.81%

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები, სამშენებლო მოთხოვნები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სამშენებლო კონტრაქტებით კლიენტებისგან მისაღები თანხები.

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	24,126	5,700
სამშენებლო მოთხოვნები	49,005	27,553
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,752	6,127
გაცემული სესხები	7,410	5,309
ვადიანი დეპოზიტი 3 თვეზე მეტი ვადიანობით	10,000	-
სულ ფინანსური აქტივები	97,293	44,689

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,078	11,012
ნასესხები სახსრები	1,753	6,998
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,831	18,010

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
	1 = 2.5922	1 = 3.1044	1 = 2.6468	1 = 2.7940
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6,308	6	5,457	-
სამშენებლო მოთხოვნები	42,506	993	18,563	1,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,139	1	1,245	-
გაცემული სესხები	5,544	-	5,309	-
სულ ფინანსური აქტივები	55,497	1,000	30,574	1,212
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,638	45	1,599	178
ადებული სესხები	1,541	-	5,628	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,179	45	7,227	178
წმინდა სავალუტო პოზიცია	44,318	955	23,347	1,034

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა	
	აშშ დოლარი / ლარი	აშშ დოლარი / ლარი	ევრო / ლარი	ევრო / ლარი
	+ 20 %	- 20 %	+ 20 %	- 20 %
მოგება/(ზარალი) გადასახადამდე	8,864	(8,864)	191	(191)
ზეგავლენა კაპიტალზე	8,864	(8,864)	191	(191)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა	
	აშშ დოლარი / ლარი	აშშ დოლარი / ლარი	ევრო / ლარი	ევრო / ლარი
	+ 20 %	- 20 %	+ 20 %	- 20 %
მოგება/(ზარალი) გადასახადამდე	4,669	(4,669)	207	(207)
ზეგავლენა კაპიტალზე	3,969	(3,969)	176	(176)

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი (არაფიქსირებული) საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება..

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისის ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკი არის ის, რომ კლიენტი აღმოჩნდება გადახდისუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. ყველა კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის მიღების პროცედურას გადის. შედეგად, ჯგუფი მხოლოდ სანდო საკრედიტო მდგომარეობის კლიენტებს არჩევს. კლიენტებს კრედიტის ლიმიტიც უწესდებათ.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში მოცემულისგან, რადგან ეს თანხა დისკონტირებულ ფულად სახსრებს ეფუძნება. ცხრილში მოცემულია როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2017						
ნასესხები სახსრები	212	337	1,204	-	-	1,753
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,506	923	4,150	-	-	23,579
	18,718	1,260	5,354	-	-	25,332
31 დეკემბერი 2016						
ნასესხები სახსრები	517	-	6,481	-	-	6,998
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,949	1,835	3,228	-	-	11,012
	6,466	1,835	9,709	-	-	18,010

23. გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, ჯგუფის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგინაშთები და ტრანზაქციები:

31 დეკემბერი 2017				
	სუბიექტები ჯგუფის ერთობლივ კონტროლს ქვეშ			
	მფლობელები		სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,298	3,055	4,352
სამშენებლო მოთხოვნები	-	2,350	-	2,350
ნასესხები სახსრები	-	239	-	239
გაცემული სესხები	-	5,237	1,317	6,554
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	263	3,947	826	5,036
შემოსავალი მშენებლობიდან	-	94	-	94
სხვა შემოსავალი	-	451	5	456
საიჯარო ხარჯები	-	27	-	27

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

31 დეკემბერი 2016				
სუბიექტები ჯგუფის ერთობლივ კონტროლს ქვეშ				
მფლობელები	სხვა	სულ		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	265	7	3,184	3,456
სამშენებლო მოთხოვნები	-	3,173	-	3,173
ნასესხები სახსრები	-	6,998	-	6,998
გაცემული სესხები	-	5,309	-	5,309
გრემლვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	-	959	-	959
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	66	-	66
სხვა შემოსავალი	-	30	-	30

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, რომელიც თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტებითაა წარმოდგენილი, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში შეადგინა 2,013 ათასი და 1,703 ათასი ლარი.

24. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები – 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს საკონტრაქტო სამშენებლო ვალდებულება გააჩნია შემდეგი კლიენტების მიმართ:

	31 დეკემბერი 2017		
	აშშ დოლარი	ლარი	ევრო
მშენებლობის ვალდებულება	92,100	1,431	-

	31 დეკემბერი 2016		
	აშშ დოლარი	ლარი	ევრო
მშენებლობის ვალდებულება	61,247	11,399	-

სამართლებრივი დავები - 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

გადასახადები – საქართველოს კომერციულ და საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი მუხლების არსებობის გამო, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი და ასევე საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე ჯგუფის საქმიანობისას შემთხვევითი დასკვნების გაკეთებისას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით.

წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან იყო დაკავშირებული. 2017 და 2016 წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში. გარდა ამისა, საქართველოში სამშენებლო სექტორზე გავლენას ახდენს ადგილობრივი კანონმდებლობა.

ხელმძღვანელობა უძღურია, განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს როგორც სამშენებლო სექტორზე, აგრეთვე მთლიანად ეკონომიკაზე და შესაბამისად, დაადგინოს, თუ რა ეფექტი ექნება მათ ჯგუფის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ანაგი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ივ. ხუბუაძე

ანაგიჯგუფი

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში	2-4
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში	6
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში	7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	8
1. ზოგადი ინფორმაცია	
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა	
3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	
5. რეკლასიფიკაცია	
6. შემოსავალი	
7. რეალიზაციის თვითღირებულება	
8. ადმინისტრაციული ხარჯები	
9. სხვა შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა	
10. მოგების გადასახადი	
11. ძირითადი საშუალებები	
12. საინვესტიციო ქონება	
13. აქტივები სამშენებლო კონტრაქტებიდან	
14. გაცემული სესხები	
15. მარაგები	
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	
17. მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	
18. ფული და ფულის ექვივალენტები	
19. მიღებული ავანსები	
20. ნასესხები სახსრები	
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	
22. ფინანსური ინსტრუმენტები	
23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	
24. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	
25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	

იმა ხტიაჭუ

ანაგი ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ანაგის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფასს-ების კონკრეტული მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ფასს-ის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2018 წლის 7 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ირაკლი გოგოლიშვილი

საქართველო, თბილისი
2018 წლის 7 აგვისტო

ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩიტაშვილი

საქართველო, თბილისი
2018 წლის 7 აგვისტო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ანაგის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ანაგის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშებს 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოკლე აღწერილობის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვაეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. მმართველობითი ანგარიში მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის მმართველებელ დასკვნას არ გამოვხატავთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინაობა ჩვენთვის პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემქმნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემქმნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ კიდევ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.
- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი პირებისა თუ საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. პასუხისმგებლობა აუდიტორულ დასკვნაზე გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით
თამარ ნაცვლიშვილი

2018 წლის 7 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ანაგი ჯგუფი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 რეკლასიფიცირებული
შემოსავალი	6	204,982	89,743
რეალიზაციის თვითღირებულება	7	(169,969)	(73,463)
მთლიანი მოგება		35,013	16,280
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(7,557)	(5,919)
წმინდა (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებზე		(460)	2,298
ასოცირებულ საწარმოთა მოგების/(ზარალის) წილი		1	(44)
ფინანსური შემოსავალი		1,200	405
ფინანსური ხარჯი	20	(1,135)	(518)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	9	2,323	(1,343)
მოგება მოგების გადასახადამდე		29,385	11,159
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	(442)
წლის წმინდა მოგება		29,385	10,717
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		29,385	10,717
განეკუთვნება:			
მფლობელს:		27,996	11,054
უმცირესობის წილი:		1,389	(337)
		29,385	10,717

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ირაკლი გოგოლიშვილი

ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩიტაშვილი

საქართველო, თბილისი
2018 წლის 7 აგვისტო

საქართველო, თბილისი
2018 წლის 7 აგვისტო

9-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	11	25,755	25,287
არამატერიალური აქტივები		277	3
საინვესტიციო ქონება	12	11,217	9,839
ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში		300	60
აქტივები სამშენებლო კონტრაქტებიდან	13	16,070	5,441
ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსები		2,467	2,476
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	3,169	-
გაცემული სესხები	14	3,266	152
სულ გრძელვადიანი აქტივები		62,521	43,258
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	15	18,154	10,354
გაცემული სესხები	14	4,144	5,157
აქტივები სამშენებლო კონტრაქტებიდან	13	45,404	22,112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	4,322	6,127
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	17	14,670	12,892
3 თვეზე მეტი ვადიანობის დეპოზიტები ბანკში		10,000	-
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		-	1,658
ფული და ფულის ექვივალენტები	18	24,126	5,700
სულ მიმდინარე აქტივები		120,820	64,000
სულ აქტივები		183,341	107,258
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		5	5
გაუნაწილებელი მოგება		90,934	68,938
სულ კომპანიის მფლობელების კაპიტალი		90,939	68,943
უმცირესობის წილი		4,222	2,833
სულ კაპიტალი		95,161	71,776
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
მიღებული ავანსები	19	18,081	957
შესამლო დეფექტების ანარიცხები		486	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,567	957
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	23,579	11,012
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		-	387
მიღებული ავანსები	19	44,281	16,128
ნასესხები სახსრები	20	1,753	6,998
სულ მიმდინარე ვალდებულებები		69,613	34,525
სულ ვალდებულებები		88,180	35,482
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		183,341	107,258

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ირაკლი გოგოლიშვილი

ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩიჭაშვილი

საქართველო, თბილისი
2018 წლის XX მაისი

საქართველო, თბილისი
2018 წლის XX მაისი

9-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

იფ. ხუტიაშვილი

ანაგი ჯგუფი

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	მფლობელის გაუნაწილებელი მოგება	მფლობელის კაპიტალი	უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2016	5	62,765	62,770	-	62,770
შვილობილ კომპანიებში ნაწილობრივი მფლობელობის წილის რეალიზაცია	-	-	-	3,170	3,170
სულ წლის სრული შემოსავალი	-	11,054	11,054	(337)	10,717
გამოცხადებული დივიდენდები	-	(4,881)	(4,881)	-	(4,881)
31 დეკემბერი, 2016	5	68,938	68,943	2,833	71,776
სულ წლის სრული შემოსავალი	-	27,996	27,996	1,389	29,385
გამოცხადებული დივიდენდები	-	(6,000)	(6,000)	-	(6,000)
31 დეკემბერი, 2017	5	90,934	90,939	4,222	95,161

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ირაკლი გოგოლიშვილი

ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩიტაშვილი

საქართველო, თბილისი
2018 წლის 7 აგვისტო

საქართველო, თბილისი
2018 წლის 7 აგვისტო

9-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ანაგი ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული თანხები		246,096	103,579
სხვა კლიენტებისგან მიღებული თანხები		5,938	8,974
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები		(154,142)	(66,396)
თანამშრომელთათვის გადახდილი თანხები		(29,744)	(23,198)
ვადიანი დეპოზიტის განთავსება		(10,000)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(902)	-
გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(19,369)	(7,860)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული		37,877	15,099
გადახდილი პროცენტი	20	(1,038)	(1,025)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(4,125)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული		36,839	9,949
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		2,391	27
გადახდები ძირითადი საშუალებების შეძენაზე		(7,883)	(10,115)
გადახდები არამატერიალური აქტივების შეძენაზე		(403)	-
ასოცირებული საწარმოს შესყიდვა		(238)	(78)
გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი		4,074	2,793
სესხების გაცემა		(6,001)	(6,237)
მიღებული პროცენტი		1,104	191
საინვესტიციო საქმიანობიდან გამომუშავებული ნაღდი ფული, წმინდა		(6,956)	(13,419)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან		112,616	6,429
მიღებული სესხების დაფარვა		(117,987)	(654)
კომპანიის ფლობელისათვის გადახდილი დივიდენდები		(5,737)	(4,879)
საფინანსო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული		(11,108)	896
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		18,775	(2,574)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილ ნაღდ ფულზე		(349)	323
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		5,700	7,951
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	18	24,126	5,700

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ირაკლი გოგოლიშვილი

ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩიტაშვილი

საქართველო, თბილისი
2018 წლის XX მაისი

საქართველო, თბილისი
2018 წლის XX მაისი

9-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ანაგი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ანაგი“ (კომპანია) დაფუძნდა საქართველოში, 1995 წლის 13 ნოემბერს. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა. კომპანია კლიენტებს სთავაზობს საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების სრულ ან ნაწილობრივ პაკეტს, მათ შორის:

- საცხოვრებელი, სასტუმრო, საზოგადოებრივი, საწარმოო და სამოქალაქო დანიშნულების შენობებისა და კომპლექსების მშენებლობა;
- სამშენებლო პროექტებისა და საპროექტო საქმიანობის მართვა;
- საპროექტო, დეკორატიული, მოპირკეთებისა და მექანიკურ-ელექტრო-საკანალიზაციო სამუშაოები;
- სამშენებლო პროექტებისა და პროდუქტების წარმოება, მათ შორის: მონოლითური ბეტონის, ლიიონის, ხის, მეტალო-პლასტმასის, ალუმინის, გამყოფი და მცირე კედლის ბლოკების წარმოება.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ჯგუფის (ერთობლივად „ჯგუფი“ ან „ანაგი ჯგუფი“) დამფუძნებელს. ჯგუფის პირველადი საქმიანობა მოიცავს ბეტონის წარმოებას, სამშენებლო ტექნიკის გაქირავებასა და უძრავი ქონების განაშენიანებას.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელია ბ-ნი ზაზა გოგოტიშვილი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	საქმიანობა
შპს „ლუგო“	65.0%	65.0%	ბეტონის წარმოება
შპს ანაგი მექანიზაცია	60.0%	60.0%	სამშენებლო ტექნიკის გაქირავება
შპს ანაგი ბათუმი	100.0%	100.0%	უძრავი ქონების განაშენიანება
შპს ანაგი ფიზ	100.0%	100.0%	უძრავი ქონების განაშენიანება

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მთავარ საოპერაციო ერთეულს. მასზე მოდის ჯგუფის საქმიანობის უდიდესი წილი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, კოსტავას გამზირი #37-39.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებული იყო, მესაბამისად, 1,684 და 1,425 თანამშრომელი.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

ფასს-ის შესწორებები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე ახდენს ზეგავლენას

მიმდინარე წელს ჯგუფმა მიიღო შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რამაც ზეგავლენა მოახდინა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

- შესწორება ბასს 7-ში განმარტების ინიციატივა;
- ფასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი - შესწორება ფასს 12-ში.

შესწორებები ბასს 7 განმარტების ინიციატივა

ჯგუფმა ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიაში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 20). ინფორმაცია ამ ერთეულების საწყისი და ბოლო ნაშთების შედარების თაობაზე მოცემულია შენიშვნაში 20. შესწორებათა გარდამავალი მუხლების შესაბამისად, ჯგუფმა წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. გარდა 20 შენიშვნის დამატებითი განმარტებისა, შესწორების ამოქმედებას კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წლების ციკლში შესული შესწორება ფასს 12-ში. ამავე ციკლში შედის სხვა შესწორებები, რომელთა ამოქმედება ჯერ სავარაუდო არ არის და ჯგუფს მათი გამოყენება ადრეულად არ დაუწყია (ქვემოთ იხილეთ ახალი და რედაქტირებული, ჯერ არამოქმედებული ფასს-ების სია).

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში ფლობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შედგავითაა, რაც ჯგუფს ამგვარი წილებისათვის ფასს 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებიდან ათავისუფლებს.

ამ შესწორებათა ამოქმედებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ჯგუფს ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან¹;
- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება¹;
- შესწორება ფასს 9 - საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი²;

¹ ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

² ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფას 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფას-ში 9 შევიდა შესწორება, რომელით ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფას 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფას 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბას 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფას 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- *ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.* ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც ფას 9-ის მოქმედების არეალში ხვდება, თავდაპირველად უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების ამოღებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ იზომება ამორტიზებული ღირებულებით. მეორე კატეგორიაა სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ამოღებითაა და ფინანსური აქტივების გაყიდვით, აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც მხოლოდ ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებს წარმოადგენს. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალურ ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფას 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა თუ პირობითი ანაზღაურებისა, რომელსაც ბიზნეს-კომპანიციაში შემსყიდველი აღიარებს) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდის სახით შემოსავლები ასახოს.
- *ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.* ფინანსური ვალდებულებები ასევე ბას 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკუთარ საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში, ფას 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკუთარისაკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ამგვარი ცვლილების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში არ შექმნის ან გაზრდის საბუღალტრო შეუსაბამობას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბას 39-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა აისახება მოგება-ზარალში.
- *გაუფასურება.* ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ფას 9 მოითხოვს ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი, რაც ბას 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელისგან განსხვავებულია. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი, საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- *ჰეჯირების აღრიცხვა.* ჰეჯირების აღრიცხვის ახალ მოთხოვნაში შენარჩუნებულია ამჟამად ბას 39-ით გათვალისწინებული ჰეჯირების აღრიცხვის სამი მექანიზმი. ფას 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებით

მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას ჯერ არ დაუსრულებია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით, ჯგუფის ხელმძღვანელობამ წინასწარ განჭვრიტა, რომ ფასს 9 ძირითადად იმოქმედებდა სამშენებლო კონტრაქტებიდან მისაღებ მოთხოვნებსა და სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე. ამოსავალი პრინციპი ამ თვალსაზრისით არის მოსალოდნელი ზარალის მოდელის შედარება მიღებული ზარალის მოდელთან. ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ სამშენებლო კონტრაქტებიდან მისაღებ მოთხოვნებზე მოსალოდნელი ზარალის მიდგომას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ექნებოდა გაწეული ზარალის მიდგომით გამოთვლილ გაუფასურებაზე. საზოგადოდ, ხელმძღვანელობას აზრით, ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის გამოყენება გამოიწვევს შესაბამის ერთეულზე საკრედიტო ზარალის უფრო ადრეულ აღიარებას და გაზრდის დანაკარგების რეზერვის თანხას.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 შემოსავლები, ბასს II სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს შემოსავლის აღიარების ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა კონკრეტულ სცენარებს. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 15-ის განმარტებები, რომელიც უკავშირდება ფინანსური შედეგების ნაკისრი ვალდებულებების იდენტიფიკაციას, ძირითად ანაზღაურებასა და აგენტის ანაზღაურებას, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენებას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აპირებს, ფასს 15-ზე გადასასვლელად გამოიყენოს მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდი.

გარდა ჯგუფის შემოსავლის ტრანზაქციებზე უფრო ვრცელი განმარტებების წარმოდგენისა, ხელმძღვანელობას ჯერ სარწმუნოდ არ შეუფასებია ფასს 15-ის ეფექტი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებზე.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალდირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების წებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

გარდა ამისა, ფასს 16 მოითხოვს მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთებას.

ხელმძღვანელობას ახალი სტანდარტის ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჯერ არ შეუფასებია.

ფაისკ 22 სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს „ტრანზაქციის თარიღი“ აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერიუელის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, აუნაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადადელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიკური გარდამავალი დებულებებიც პროსპექტიული გამოყენების შემთხვევებისათვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებითი ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან იგი უკვე იყენებს ფაისკ 22-ში მოითხოვულ მიდგომას.

იხილეთ ხელმოწერა

ფასი 23 - მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფასი 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო გაანგარიშების ფორმას;
- თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევ ბუღალტრული გაანგარიშების შესაბამისად.
- უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადაძლევი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია წინა რიცხვით ცოდნის ეფექტის გარეშე) ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებითი ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს შესაბამის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციების აღიარების ფასი 23-ში მითითებული მიდგომის პრინციპებს.

შესწორებები ფას 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით

ეს შესწორებები მოხდა ისახავს იმ გაუთვალისწინებელი შედეგების გამოსწორებას, რაც „გონივრული დამატებითი ანაზღაურების“ ცნების შემოტანამ მოიტანა. შესწორებების მიხედვით, შესაძლებელია, თუ რამდენიმე კონკრეტული კრიტერიუმში დაკმაყოფილდა, ისეთი წინასწარი გადახდის უფლების მქონე ფინანსურმა აქტივებმა, რომლის მიხედვით უფლების მფლობელმა შეიძლება მიიღოს ანაზღაურება ვადაძლევი შეწყვეტის შემთხვევაში, დააკმაყოფილოს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ პირობა.

გარდა ამისა, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე განიხილა იმ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი, რომლებიც მოდიფიცირდება ან გაიცვლება მათი ჩამოწერის გარეშე და, შედეგად, შედის ამ საკითხს მიძღვნილ ორ პარაგრაფში სათაურით „დასკვნის საფუძველი“. ამ პარაგრაფებში საბჭო აცხადებს, რომ ამგვარი შემთხვევების ბუღალტრული გაანგარიშება ისეთივეა, როგორც ფინანსური აქტივის მოდიფიცირების შემთხვევაში. თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვალა, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს მოგების ან ზარალის ასახვას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შესწორება ძალაში შედის რეტროსპექტიულად 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადაძლევი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიკური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, თუ როდის ხდება შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფას 9-ის პირველ გამოყენებასთან მიმართებაში.

ფას-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ფას 1 და ბას 28-ში, რომლებიც ჯერ კომპანიისათვის სავალდებულო არ არის. პაკეტში აგრეთვე შედის ფას 12-ის შესწორება, რომელიც უკვე სავალდებულოა მიმდინარე წელს - გამოყენების დეტალები იხილეთ ქვეთავში „ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მოქმედი ფას-ების“ თავიდან.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციას და მსგავს პირებს შეუძლიათ მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში არსებული მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ინვესტიციები ასახონ ინდივიდუალურად თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსათვის. ეს არჩევანი კომპანიამ უნდა გააკეთოს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას. ისეთი

პირის ოფციის შემთხვევაში, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მისი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების, ამავდროულად, საინვესტიციო კომპანიების მიერ გამოყენებული რეალური ღირებულებით ასახვის შენარჩუნების თავისუფლება, მაშინ, როდესაც თავად კომპანია წრფივ მეთოდს იყენებს, შესწორება ასევე განმარტავს, რომ კომპანიას ამ მიდგომის გამოყენება შეუძლია თითოეული მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პირები საინვესტიციო კომპანიებია. შესწორებები ძალაშია რეტროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

როგორც ფასს 1-ის, აგრეთვე ბასს 28-ის შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ჯგუფი ამჟამად ფასს-ებს უკვე იყენებს და ვენჩურული კაპიტალით დაფუძნებული ორგანიზაცია არაა. გარდა ამისა, ჯგუფს არ გააჩნია დაკავშირებული პირი ან ერთობლივი საწარმო, რომელიც თავად იქნებოდა საინვესტიციო კომპანია.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

შესაბამისობა - წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი მოქმედ საწარმოს წარმოადგენს და ოპერაციებს განაგრძობს მომავალშიც გააგრძელებს.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის

მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ჯგუფი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის და/ან განმარტების მიზნებისათვის რეალური ღირებულება ამგვარ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვტირებული ფასები (კორექტრების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კვტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი მძმართულებები.

საოპერაციო და საპრეზენტაციო ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის, მისი შვილობილი და ასოცირებული საწარმოების საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში მოცემული ყველა თანხა დაძრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

კონსოლიდირების საფუძველი – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და კომპანიის მიერ კონტროლირებადი საწარმოს (შვილობილი კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა, როდესაც კომპანიას გააჩნია:

- ა) ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე
- ბ) მონაწილეობა ან უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე; და
- გ) ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა ინვესტორის უკუგების ოდენობასთან დაკავშირებით.

კომპანია აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტირების ობიექტს, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ ზემოთ მოყვანილი სამი ელემენტიდან ერთში ან მეტში მოხდა ცვლილება.

როდესაც კომპანია ინვესტირების ობიექტში ფლობს ხმის უფლებათა უმრავლესობაზე ნაკლებს, მას ძალაუფლება გააჩნია, თუ მისი ხმის უფლება მას ანიჭებს პრაქტიკულ შესაძლებლობას, ცალმხრივად გაუძღვეს პირის შესაბამის საქმიანობას. იმის დასადაგენად, არის თუ არა ფლობილი ხმების რაოდენობა საკმარისი ინვესტირების ობიექტზე ძალაუფლების განსახორციელებლად, კომპანია აფასებს შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებს:

- კომპანიის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობა სხვა მფლობელების მიერ ფლობილი ხმების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებსა თუ სხვა პირების მიერ ფლობილი პოტენციური ხმის უფლებები;

იხილეთ

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილი უფლებები; და
 - ნებისმიერი სხვა ფაქტი და გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიას ამჟამად აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გაუძღვეს შესაბამის საქმიანობას გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის მომენტში, მათ შორის, აქციონერთა წინა კრებებზე ხმათა გადანაწილების გათვალისწინებით.
- შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც კომპანია მასზე კონტროლს მოიპოვებს და წყდება, როდესაც ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში შედის იმ დღიდან, როდესაც კომპანია კონტროლს მოიპოვებს და გრძელდება იმ დღემდე, როდესაც კომპანია კონტროლს კარგავს.
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეწერება კომპანიის მფლობელებსა და უმცირესობის წილებს. შვილობილი კომპანიების მთლიანი სრული შემოსავლები კომპანიის მფლობელებსა და უმცირესობის წილებს მიეწერება მაშინაც კი, თუ ამის შედეგად უმცირესობის წილს უარყოფითი ნაშთი გამოუდით.
- აუცილებლობის შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ისე კორექტირდება, რომ მათი საბუღალტრო პოლიტიკა ჯგუფის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს.
- ჯგუფის შიგნით ყველა აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული კონსოლიდირებისას სრულად იქვეთება.
- ცვლილება არსებულ შვილობილ კომპანიებში ჯგუფის კუთვნილ წილებში.** ცვლილება არსებულ შვილობილ საწარმოებში ჯგუფის კუთვნილ წილებში, რომელიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც წილობრივი ტრანზაქცია. ჯგუფის წილებისა და უმცირესობის წილების საბალანსო ღირებულებები კორექტირდება ისე, რომ მათში აისახოს შვილობილ საწარმოებში ფლობილი ფარდობითი წილის ცვლილება. ნებისმიერი სხვაობა კორექტირების თანხასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება პირდაპირ კაპიტალში და მიეწერება კომპანიის მფლობელებს.
- როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება და გამოითვლება როგორც სხვაობა (1) მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებისა და აღიარებული წილის ჯამსა და (2) აქტივების (გუდვილის ჩათვლით) წინა საბალანსო ღირებულებისა და შვილობილ საწარმოს ვალდებულებებისა და უმცირესობის წილების ჯამს შორის. მანამდე სხვა სრულ შემოსავალში ამ შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა აღირიცხება ისე, როგორც მოხდებოდა, ჯგუფს პირდაპირ რომ გაეყიდა შვილობილი კომპანიის შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები (ანუ გადადის მოგება-ზარალში ან გადაიტანება კაპიტალის სხვა კატეგორიაში, შესაბამისი ფასის-ის თანახმად). კონტროლის დაკარგვის დღეს ყოფილ შვილობილ საწარმოში შენარჩუნებული ინვესტიციის რეალური ღირებულება, ბასს 39-ის მიხედვით, ითვლება რეალურ ღირებულებად საწყისი აღიარებისას, ან, ხარჯად ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას.
- ბიზნესის გაერთიანება.** ბიზნესის შესყიდვა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. ბიზნესის გაერთიანებისას გადახდილი ანაზღაურება იზომება რეალური ღირებულებით, რომელიც ითვლება, როგორც შესყიდვის დღეს ჯგუფის მიერ გადაცემული აქტივების რეალური ღირებულების, ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ყოფილი მფლობელების მიმართ გაწეული ვალდებულებებისა და ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის კონტროლის სანაცვლოდ გაცემული წილების ჯამი. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ჩვეულებრივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც გაწეული.
- შესყიდვის დღეს გამოვლენადი შესყიდული აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები აღიარდება შესყიდვის დღის რეალური ღირებულებით, შემდეგი გამონაკლისით:
- ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია შესყიდული ობიექტის აქტივებით გადახდის წესთან ან ჯგუფის აქტივებით გადახდის წესთან, რომლებიც პირველს ანაცვლებს, შესყიდვის დღეს აღირიცხება ფასს 2 „აქტივზე დაფუძნებული გადახდა“; და
 - აქტივები (ან აქტივთა ჯგუფები), რომლებიც გასაყიდად განკუთვნილია კლასიფიცირებული ფასს 5 „გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ თანახმად, იზომება ამავე სტანდარტით.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

გუდვილი აღირიცხება იმ თანხით, რომლითაც, ერთი მხრივ, გადახდილი ანაზღაურების, შესყიდვის ობიექტში უმცირესობის წილების ოდენობისა და შესყიდული ობიექტის მიერ შესყიდვის ობიექტში მანამდე ფლობილი წილის რეალური ღირებულების ჯამი, აჭარბებს, მეორე მხრივ, შესყიდვის დღეს შესყიდული გამოვლენადი აქტივების ღირებულებისა და ნაკისრი ვალდებულებების სხვაობას. თუ, გადაფასების შემდეგ, შესყიდვის დღისათვის შესყიდული გამოვლენადი აქტივების ღირებულებისა და ნაკისრი ვალდებულებების სხვაობა აჭარბებს გადახდილი ანაზღაურების, შესყიდვის ობიექტში უმცირესობის წილების ღირებულებასა და შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტში მანამდე ფლობილი წილის (თუ ასეთი არსებობდა) რეალური ღირებულების ჯამს, სხვაობა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც მოგება ხელსაყრელი ვაჭრობის შედეგად.

უმცირესობის წილები, რომლებიც წარმოდგენილია ფლობილ წილში და მათ მფლობელს აძლევს უფლებას, მიიღოს პროპორციული წილი სუბიექტის წმინდა აქტივებიდან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შეიძლება თავდაპირველად გაიზომოს რეალური ღირებულებით ან შესყიდული ობიექტის დადგენადი წმინდა აქტივების აღიარებული ღირებულების იმ წილით, რომელიც არასაკონსტროლო წილის პროპორციულია. უმცირესობის წილების სხვა სახეობები იზომება რეალური ღირებულებით, ან სხვა ფასს-ში მოცემულ საფუძველზე.

როდესაც ბიზნესის გაერთიანებისას ჯგუფის მიერ გადახდილი ანაზღაურება მოიცავს პირობითი ანაზღაურების შედეგად არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს, ეს პირობითი ანაზღაურება იზომება შესყიდვის დღის რეალური ღირებულებით და შედის გადახდილ ანაზღაურებაში. პირობითი ანაზღაურების რეალური ღირებულების ცვლილება, რომლებიც აკმაყოფილებს საანგარიშო პერიოდის კორექტირების განსაზღვრებას, კორექტირდება რეტროსპექტიულად, გუდვილის შესაბამისი შესწორებით. საანგარიშო პერიოდის კორექტირება არის ისეთი კორექტირება, რომელიც წარმოიშობა საანგარიშო პერიოდის (არ შეიძლება იყოს შესყიდვის დღიდან ერთ წელიწადზე მეტი) განმავლობაში შესყიდვის დღისათვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების შედეგად.

შემდგომი აღრიცხვა პირობითი ანაზღაურების რეალური ღირებულების ცვლილებისა, რომელიც არ ითვლება საანგარიშო პერიოდის კორექტირებად, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ კლასიფიცირდება პირობითი ანაზღაურება. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირებულია კაპიტალად, არ გადაფასდება შემდგომ საანგარიშო დღეს და მისი შემდგომი ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალში. ის პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც აქტივი ან ვალდებულება, გადაფასდება შემდგომ საანგარიშო დღეს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა“ ან ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მიხედვით, ხოლო შესაბამისი მოგება ან ზარალი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშში.

როდესაც ბიზნესების გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტში ჯგუფის მიერ მანამდე ფლობილი წილი გადაფასდება რეალური ღირებულებით შესყიდვის დღეს (ანუ იმ დღეს, როდესაც ჯგუფი იძენს კონტროლს), ხოლო შესაბამისი მოგება ან ზარალი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშში. შესყიდვის ობიექტში შესყიდვის დღემდე არსებული წილებიდან წარმოშობილი თანხები, რომლებიც მანამდე აღიარებოდა სხვა სრულ შემოსავლებში, რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალის ანგარიშში, თუ ამგვარი მიდგომა რელევანტური იქნებოდა ამ წილის გაყიდვის შემთხვევაში.

თუ ბიზნესის გაერთიანების თავდაპირველი აღრიცხვა იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანება ხდება, არასრულია, ჯგუფი უჩვენებს პირობით თანხებს იმ ელემენტებზე, რომლებიც არასრულადაა აღრიცხული. ეს პირობითი თანხები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კორექტირდება (იხ. ზემოთ) ან დამატებითი აქტივები ან ვალდებულებები ისე აღიარდება, რომ ამან სათანადოდ უჩვენოს შესყიდვის დღეს არსებული ისეთი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ მიღებული ახალი ინფორმაცია, რომლებიც იმ დღეს ზეგავლენას მოახდენდა აღიარებული თანხების ოდენობაზე.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში. ასოცირებული საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირი თუ ირიბი), მაგრამ არა - კონტროლი. ასოცირებულ საწარმოებში ინვესტიციები აღირიცხება წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აღიარდება ხარჯად. ასოცირებული საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები აკლდება ასოცირებულ პირში არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. სხვა შესყიდვის შემდგომი ცვლილებები ასოცირებული პირის წმინდა აქტივებში ჯგუფის კუთვნილ წილში აღირიცხება შემდგომი ცვლილებები ასოცირებული საწარმოს მოგება-ზარალში ჯგუფის წილი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში აღირიცხება როგორც ასოცირებული საწარმოს არსებობის ფინანსური შედეგის წილი, (2) სხვა სრულ შემოსავალში ჯგუფის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილი იქნება განცალკევებულად, (3) ყველა სხვა ასოცირებულ საწარმოთა წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის კუთვნილი წილის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში ასოცირებული პირის ფინანსური შედეგის წილად.

თუმცა, თუ ასოცირებულ საწარმოში ზარალის ჯგუფისეული წილი გაუტოლდა ან გადააჭარბა ამ საწარმოში არსებულ მის წილს, მათ შორის, რაიმე სხვა უზრუნველყოფის გარეშე არსებულ მოთხოვნებს, ჯგუფი არ აღირიცხავს დამატებით ზარალს, თუ მას რაიმე ვალდებულება არ ეკისრება ან უკვე არ მოახდინა რაიმე თანხების გადახდა ასოცირებული საწარმოს სახელით.

ჯგუფისა და მის ასოცირებულ საწარმოებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგება იქვითება ასოცირებულ პირებში ჯგუფის მიერ ფლობილი წილიდან; იგივე ხდება არარეალიზებული ზარალის შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ წარმოადგენს აქტივის გაუფასურების გადატანის მტკიცებულებას.

უცხოური ვალუტები. ჯგუფში შემავალი თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის სააპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით აღიარებული არამონეტარული ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში ასახული არამონეტარული ერთეულები არ კონვერტირდება.

მონეტარულ ერთეულებზე საკურსო სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში. ეს არ ეხება საკურსო სხვაობას უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც სამომავლო წარმოებისათვის შექმნის პროცესში მყოფ აქტივებთანაა დაკავშირებული და ამ აქტივების ღირებულებაში შევიდა, როდესაც ისინი ჩაითვალა ამ უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯის კორექტირებად.

ჯგუფის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ლარი /1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან ეკონომიკური სარგებლის მიიღება. მცირე მასშტაბის რემონტი ხარჯად აღიარდება ჩატარების მომენტში.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივების აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის ხმარებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯთან ერთად.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით და მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მოხმარების მიუღი ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალების კატეგორია

ცვეთის განაკვეთი

მანქანა-დანადგარები	20%
ავტო სატრანსპორტო საშუალებები	20%
შენობა-ნაგებობები	5%
საოფისე ტექნიკა	20%

მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება მის დასრულებამდე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი იმ მომენტში მიიღება აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის სავარაუდო ხარჯის გამოკლებით, ეს აქტივი ასაკითა და მდგომარეობით სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს რომ შეესაბამებოდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადა გადაიხედება და კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება ის ქონებაა, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო გადასახადის გამოსაშუშავებლად ან/და კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ღირებულებით იზომება, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარდება, როგორც გაუფასურების ხარჯი. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის განაკვეთი შენობა-ნაგებობებზე 5% შეადგენს. თავისუფალ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

გაუფასურების ანალიზისა და განმარტების მიზნებისათვის ჯგუფი თავად განსაზღვრავს საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულებას. ჯგუფს გააჩნია პროფესიული კვალიფიკაცია საინვესტიციო ქონების შესაფასებლად.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი რეალიზაციის შემთხვევაში, ან თუ საინვესტიციო ქონების ექსპლუატაცია წყდება და რეალიზაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაგარაუდები აღარაა. ქონების აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი მოგება ან ზარალი (რომელიც ითვლება რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავლისა და აქტივის საბალანსო ღირებულების სხვაობა) შედის აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგება-ზარალში.

თუ საინვესტიციო ქონება იჯარით არ გაიცა, იგი რეკლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება, ხოლო საბალანსო ღირებულება ამ მომენტში ხდება მისი საგულისხმევი ღირებულება.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

შემდგომი ხარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ სავარაუდოა, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ამ ხარჯთან დაკავშირებულ ეკონომიურ სარგებელს, ხოლო მისი ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა რემონტისა და შენახვის ხარჯი გაწევის მომენტში აღირიცხება.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, საზღვრული სასარგებლო მოხმარების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს შეძენილ კომპიუტერული და ბუღალტრული პროგრამების ლიცენზიებს, რომელთა ღირებულება აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით მთელი სასარგებლო ვადის განმავლობაში აქტივის გამოყენების ვადის დადგომის მომენტიდან. კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიის მიახლოებითი მოხმარების ვადაა 5 წელი, ბუღალტრული პროგრამისა კი - 10 წელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის ალდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის ალდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

ალდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) ალდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის ალდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი ალდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ალდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის ალდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ავანსები. ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს ჯგუფი მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები დგინდება ძალაში საანგარიშო დღეს სრულად ან ნაწილობრივ ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე

გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალში იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში, რადგან ისეთ ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ასევე აღიარებულია პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმავე თუ სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საგარეოდ, თუ ფინანსური ანგარიშების ავტორიზება ხდება საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. სხვა გადასახადები აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება იანგარიშა, როგორც თითოეული კონსოლიდირებული პირის საგადასახადო ვალდებულებათა ჯამი.

2016 წლის მასში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. სამომავლო მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება იმას, არის თუ არა ფინანსური ანგარიშები დამტკიცებული საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

ჯგუფი აკონტროლებს იმ დროებითი სხვაობების აღდგენას, რომლებიც შვილობილი საწარმოებიდან მიღებულ დივიდენდებთან ან მათი რეალიზაციისას მიღებულ მოგებასთანაა დაკავშირებული. ჯგუფი არ აღიარებს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს ამგვარ დროებითი სხვაობებზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობის აზრით, დროებითი სხვაობები განჭვრეტად მომავალში აღდგენას დაექვემდებარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას ზოგიერთ ტრანზაქციაზე, რომლებიც მოგების განაწილებათ ითვლება, მაგალითად, ტრანზაქციებზე, რომლებიც ხორციელდება არასაბაზრო ფასებით, ისეთ ხარჯებზე, რომლებიც ბიზნესთან დაკავშირებული არ არის, ან საქონლის ან მომსახურების უფასოდ მიწოდებაზე. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადების მსგავსად, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; თანხის ანაზღაურება, თუ ასეთი მოხდა, აღირიცხება აქტივად, თუ ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

ჯგუფი შემოსავლების სამსახურიდან მისაღებ საგადასახადო აქტივს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებს არარეზიდენტებზე გაცემულ სესხებზე ამ არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში გადასახადის გადახდისას.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებიდან დაკავშირებული დღგ გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე ჯგუფში შემავალი თითოეული კომპანიისათვის და განისაზღვრება როგორც აქტივი ან ვალდებულება. მოთხოვნებზე გაუფასურების ოქვების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოადგენილია ათასობით ლარში

მარაგები. მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

დასაკუთრებული ქონება. ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება აქტივების დასაკუთრება გადახდისუუნარო სამშენებლო კონტრაქტების შემთხვევაში. დასაკუთრებული აქტივების აღიარება ხდება უმცირესი ღირებულებით საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ქვემოთ აღწერილი წესით:

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებზე მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-ჰოლდინგურ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ინდივიდუალურად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთ გადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სესხებისა და მოთხოვნების“ კატეგორიაში.

იხილეთ

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებადი ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. ისინი შედის მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაფარვის ვადა საანგარიშო დღის შემდეგ 12 თვეს აღემატება. ასეთი აქტივები გრძელვადიანად კლასიფიცირდება.

ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სამშენებლო მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, ბანკებში ვადიან დეპოზიტებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

სამშენებლო მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ვადიანი დეპოზიტები ბანკებში და გაცემული სესხები. სამშენებლო მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ვადიანი დეპოზიტები ბანკებში და გაცემული სესხები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ექვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც იგი გაიწევა ერთი ან მეტი ისეთი მოვლენის შედეგად, რაც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელმაც ზეგავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან მისი ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და დროზე, თუ ამ ორის გაზომვა სარწმუნოადაა შესაძლებელი. თუ ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივი, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, გაუფასურდა, ჯგუფს ეს აქტივი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების ჯგუფში და ჯგუფურად ამოწმებს მათ გაუფასურებას. ძირითადი ფაქტორები გაუფასურების ხარისხის დადგენისას არის ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზაციის შესაძლებლობა. გაუფასურების მტკიცებულების დასადგენად აგრეთვე იყენებენ სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, როგორებიცაა:

- აქტივის ნაწილი ვადაგადაცილებულია და გადახდის დაგვიანება ვერ აიხსნება ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული შეცოვნებით;
- კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაზეც მოწმობს ჯგუფის მიერ მიღებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად, კონტრაგენტის გადახდისუნარიობა გაუარესდა; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა გაუარესებული საბაზრო პირობების გამო.

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები ხელახლა შეთანხმა ან სხვაგვარად შეიცვალა კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, პირობების შეცვლამდე გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ხარჯის აღიარება ყოველთვის ხდება რეზერვის ანგარიშით და აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დადის (ამ უკანასკნელიდან გამოკლებულია ჯერ არგაწეული სამომავლო საკრედიტო დანაკარგები). რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება ის ფულადი ნაკადები, რომლებიც ჯგუფმა შეიძლება მიიღოს საკონტრაქტო საქონლის შენარჩუნებით, უზრუნველყოფის მიღება-გაციდვის ხარჯის გამოკლებით, იმის მიუხედავად, რეალურია თუ არა საქონლის შენარჩუნება.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ხარჯის ოდენობამ დაიკლო და ეს კლება ობიექტურად შეიძლება მიეწეროს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას (მაგალითად, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ხარჯი აღდგება და სარეზერვო ანგარიში შესწორდება მოგება-ზარალის მეშვეობით. ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვის მიმართ ამოღების ყველა პროცედურის დასრულებისა და ზარალის ოდენობის დადგენის შემდეგ. უკვე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება აღირიცხება წლის მოგება-ზარალის გაუფასურების ზარალის ანგარიშში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც (ა) აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ ჯგუფმა სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, იმავდროულად (1) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან (2) ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად. ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ნასესხებ სახსრებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება დღ-ის ჩათვლით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. რეალური ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარულ თანხას შორის მოგება-ზარალში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების პერიოდში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს ეყრდნობა.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს რეგულირებით ან საბაზრო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში აქტივის მიწოდებას (ანუ „ჩვეულებრივი“ ყიდვა-გაყიდვა) აღირიცხება ვაჭრობის დღეს, ანუ იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მხარეს მიაწვდის ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე ხდება.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობას ჯგუფის წესდება განსაზღვრავს. მისი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ საწესდებო კაპიტალად, თუ იგი ჯგუფის მფლობელის შენატანის შედეგია.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები ახსნილია „შემდგომი მოვლენების“ ქვეთავში.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, ჯგუფს ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდი, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს.

შემოსავლის აღიარება. ჯგუფი შემოსავალს იღებს სამშენებლო კონტრაქტებიდან, საქონლის რეალიზაციიდან და საოპერაციო საიჯარო გადასახადიდან. მისი პოლიტიკა შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით ახსნილია ქვემოთ:

სამშენებლო კონტრაქტები. როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოა და შესაძლებელი, შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამშენებლო საქმიანობის დასრულების ეტაპის მითითებით, ანუ ფიზიკური წილის დასრულების მიხედვით.

საკონტრაქტო სამუშაოების ცვლილება, სხვადასხვა სახის პრეტენზიები და წამახალისებელი გადახდები გაითვალისწინება მაშინ, თუ მათი ოდენობის გაზომვა სარწმუნოა და შესაძლებელი და მისი მიღება საკმაოდ რეალურია.

როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, საკონტრაქტო შემოსავალი აღიარდება იმ ხარჯების ოდენობით, რომელთა ამოღებაც სავარაუდოა. საკონტრაქტო ხარჯები ასეთად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

როდესაც სავარაუდოა, რომ მილიანი საკონტრაქტო ხარჯი საკონტრაქტო შემოსავალს გადააჭარბებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

როდესაც კონკრეტულ მომენტამდე გაწეული საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამი, აღიარებული ზარალის გამოკლებით აჭარბებს შუალედურ ანგარიშებს, სიჭარბეს ჯგუფი უჩვენებს როგორც საკონტრაქტო სამუშაოებიდან კლიენტებისგან მიღებულ თანხას. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, სადაც შუალედური ანგარიშები აჭარბებს ამ მომენტამდე გაწეულ საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამს, აღიარებული ზარალის გამოკლებით, სიჭარბეს ჯგუფი უჩვენებს, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებისათვის კლიენტებისთვის გადასახდელ თანხებს. სამუშაოს ჩატარებამდე მიღებული თანხები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის როგორც ვალდებულება, როგორც მიღებული ავანსები. ჩატარებული და დარიცხული სამუშაო, რომელიც კლიენტის მიერ ჯერ არ ანაზღაურებულა, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის როგორც სამშენებლო მოთხოვნა.

იხილეთ

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და უფლების გადაცემის მომენტში, თუ კმაყოფილება ყველა შემდეგი პირობა:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფს აღარ აქვს არც ეფექტური კონტროლი რეალიზებულ საქონელზე და აღარც ის მართვითი მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნივთის ფლობასთან;
- შემოსავლის ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი.

საიჯარო შემოსავალი. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის მოლაპარაკება-გაფორმებასთან დაკავშირებული საწყისი პირდაპირი

ხარჯები ემატება გაქირავებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა. თუ ჯგუფი არის მეიჯარე, ისეთ იჯარაში, რომლითაც მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარისგან ჯგუფს არ გადაეცემა, წლის საიჯარო გადასახადები იჯარის ვადის განმავლობაში ირიცხება მოგება-ზარალში, იჯარის ვადა არის ის სავალდებულო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მეიჯარე თანახმაა, იჯარით მიიღოს აქტივი და აქვს უფლება, მოითხოვოს იჯარის გაგრძელება დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისში საკმარისად ცხადია, რომ მეიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტს, გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს და საკურსო მოგებასა და ზარალს, რომლებიც ნასესხები სახსრებიდან და ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან გამომდინარეობს.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიციები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები ჯგუფს მომსახურებას უწევენ. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიციები.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

4. ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ჯგუფი აკეთებს ვარაუდებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები გადაიხედება რეგულარულად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში სავარაუდოდ გამოიყურება.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობა აგრეთვე იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ქვემოთ მოცემულია ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის მიმდინარეობისას ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს მათი რეალური ღირებულებით. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დგინდება, ეს ტრანზაქციები საბაზრო განაკვეთებით შეფასდეს თუ არასაბაზროთი, თუ მსგავსი აქტიური ბაზარი არ არსებობს. გადაწყვეტილება ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები განმარტებულია შენიშვნაში 23.

დასრულების ეტაპი. ჯგუფი სამშენებლო შემოსავალს აღიარებს ბასს 11-ის, „სამშენებლო კონტრაქტები“ მიხედვით, თითოეული სამშენებლო კონტრაქტისათვის სამუშაოს ფიზიკური წილის დასრულების განსაზღვრით. ხელმძღვანელობა კონტრაქტის დასრულების ეტაპს აფასებს საანგარიშო დღეს დასრულებული სამუშაოს ერთეულებისა და მთელი კონტრაქტის დასასრულებლად საჭირო სამუშაოს ერთეულების რაოდენობის შეფასების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა. ჯგუფი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს განიხილავს მსგავს აქტივებზე არსებული გამოცდილების მიხედვით. აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებით მოიხმარება. თუმცა, ასევე ითვალისწინებენ სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, ტექნიკურ და კომერციულ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას, ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა,

გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში. ხელმძღვანელობა დარწმუნდა სასარგებლო მოხმარების ვადას აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობით და იმ სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივები ჯგუფისთვის სარგებლის მომტანი იქნება. ძირითადი ფაქტორებია: (ა) აქტივის გამოყენების ფორმა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზე დამოკიდებულია; და (გ) ტექნიკური და კომერციული დაძველება, რომელიც ბაზრის პირობებიდან გამომდინარეობს.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები თითოეულ საანგარიშო დღეს გადაიხედება. ვალდებულებები აღირიცხება იმ მოგების გადასახადის პოზიციებისათვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებად შენარჩუნებადი იქნება საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იმ ინტერპრეტაციების საფუძველზე, რომლებიც არსებითად თუ სრულად ძალაში იქნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღეს. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულება აღიარდება ხელმძღვანელობის ეული სავარაუდო სარჯის მიხედვით, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშო დღეს ამ ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები სავარაუდოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

უიმედო ვალების რეზერვი. ჯგუფი უიმედო ვალების რეზერვს ქმნის, რათა აღრიცხოს საპროგნოზო დანაკარგები, რომლებიც წარმოიშობა კლიენტების უუნარობისგან, დაფარონ საჭირო გადასახდელები. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მიმდინარე საერთო ეკონომიკურ პირობებს, მოთხოვნების ანგარიშის ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება დგინდება ჯგუფის შიდა შემფასებლების მიერ, რომელთაც საკმარისი გამოცდილება გააჩნიათ შესაბამის ადგილებზე უძრავი ქონების შეფასების კუთხით. ჯგუფში მოქმედებს შედარების მეთოდით, რომლის მიხედვითაც უძრავი ქონების რეალური ღირებულება დგინდება უახლესი ტრანზაქციების დროს მსგავს ქონებაზე დადგენილ ფასებთან შედარებით.

შესაძლო დეფექტების ანარიცხები - ჯგუფი გარკვეული ვადით გასცემს გარანტიებს სამშენებლო დეფექტის არსებობაზე. ხელმძღვანელობა ამ გარანტიების დაკმაყოფილების ღირებულებას აფასებს ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად. შეფასება ეფუძნება ჯგუფის ისტორიულ გამოცდილებას და ხდება ინდივიდუალური პროექტის მიხედვით.

მომველებული მარაგების რეზერვი - ტექნოლოგიისა და მარგულირებელი მოთხოვნების ცვლილების შედეგად მომველებული, აგრეთვე გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

5. რეკლასიფიკაცია

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა რამდენიმე რეკლასიფიკაცია მათი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენის მიზნით. ხელმძღვანელობის აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე წელს შერჩეული წარმოდგენის ფორმა უკეთ ასახავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშს. რეკლასიფიკაციას 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშზე არ უმოქმედია.

971 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალში რეკლასიფიცირებული თანხა მოიცავს სხვა შემოსავლიდან რეკლასიფიცირებულ მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავალსა და საიჯარო შემოსავალს. 802 ათასი ლარის ოდენობის თანხა რეალიზაციის თვითღირებულებაში მოიცავს მასალების რეალიზაციის თვითღირებულებას, რომელიც რეკლასიფიცირდა სხვა ხარჯებიდან.

1,029 ათასი ლარის ოდენობის სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ზარალი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯებიდან რეკლასიფიცირდა სხვა ხარჯებში.

	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი		
	წინა ანგარიშგებით	რეკლასიფიცირ ებული ოდენობა	რეკლასიფიცირე ბის შემდეგ
შემოსავალი	87,650	2,093	89,743
რეალიზაციის თვითღირებულება	(72,661)	(802)	(73,463)
ადმინისტრაციული ხარჯები	(6,948)	1,029	(5,919)
ფინანსური შემოსავალი	1,527	(1,122)	405
სხვა შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	(145)	(1,198)	(1,343)

6. შემოსავალი

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფის შემოსავალი ასე გამოიყურება:

	2017	2016 (რეკლასიფიცირ ებული)
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	198,562	83,246
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5,396	5,102
სხვა შემოსავალი	1,024	1,395
სულ	204,982	89,743

7. რეალიზაციის თვითღირებულება

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგი ერთეულებისგან:

	2017	2016 (რეკლასიფიცირ ებული)
სამშენებლო კონტრაქტების თვითღირებულება (1)	163,309	69,158
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2)	5,964	3,412
გაყიდული მასალების თვითღირებულება	696	893
სულ	169,969	73,463

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

(1) სამშენებლო კონტრაქტების თვითღირებულება:

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
მომსახურება		
მასალები	71,776	11,041
ხელფასები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	49,828	33,531
ცვეთა	33,286	19,876
იჯარა	3,779	2,681
საბანკო გარანტია	2,617	772
შესაძლო დეფექტების ანარიცხები	825	671
კომუნალური გადასახადები	486	-
ტრანსპორტირება	366	211
სულ	346	375
	163,309	69,158

(2) რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
მასალები		
ტრანსპორტირება	4,930	2,747
ცვეთა	785	425
ხელფასები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	133	98
მომსახურება	93	89
კომუნალური გადასახადები	23	45
სულ	-	8
	5,964	3,412

8. ადმინისტრაციული ხარჯები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
ხელფასები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	3,952	4,109
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	925	771
პროფესიული მომსახურება	487	127
მომსახურების ხარჯები	465	16
გადასახადები და მოსაკრებლები	464	-
დაზღვევის ხარჯები	353	89
ტრანსპორტირების ხარჯები	172	99
იჯარის ხარჯები	136	88
ბანკის ხარჯები	122	92
კომუნალური გადასახადები	104	64
ქონების გადასახადი	95	291
კავშირგაბმულობა	79	58
მარკეტინგი	12	42
სხვა	191	73
სულ	7,557	5,919

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

9. სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

	2017	2016 (რეკლასიფიცირებული)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	1,394	116
სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(შექმნა)	719	(1,029)
მარაგების რეალიზაციით მიღებული ზარალი	-	(370)
სხვა შემოსავალი	732	-
მარაგების რეზერვი	(522)	-
სხვა ხარჯები	-	(60)
სულ	2,323	(1,343)

10. მოგების გადასახადი

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	2,551
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	-	(2,109)
სულ	-	442

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს. კოდექსი ქართულ კომპანიებსა და რეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე გარკვეულ საფინანსო ინსტიტუტებსა და სადაზღვევო კომპანიებზე ვრცელდება.

წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია ჯგუფის გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის. ცვლილების შედეგად, გადავადებული საგადასახადო აქტივის ნაშთი, რომელიც წინა პერიოდებში წარმოშობილ, აღიარებულ დროებითი სხვაობებს განეკუთვნებოდა, 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სრულად ჩამოიწერა.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

11. ძირითადი საშუალებები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში ძირითადი საშუალებების ცვლილება ასე გამოიყურება:

	მანქანა- დანადგარებ ი	ავტოტრანსპორტი	შენობა- ნაგებობები	მიწა	მიმდინარე მშენებლობა	საოფისე ტექნიკა	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2016	9,670	5,191	1,350	2,200	4,790	837	24,038
შესყიდვა	8,005	1,607	1,394	720	-	566	12,292
რეალიზაცია	(815)	-	-	(651)	-	(2)	(1,468)
ჩამოწერა	(126)	-	-	-	-	(5)	(131)
ღირებულება 31 დეკემბერი 2016	16,734	6,798	2,744	2,269	4,790	1,396	34,731
შესყიდვა	4,422	823	1,448	-	-	124	6,817
რეალიზაცია	(112)	(153)	(117)	(185)	-	(3)	(570)
გადატანა	-	-	4,790	-	(4,790)	-	-
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	-	-	(373)	-	-	-	(373)
ჩამოწერა	(2,610)	-	-	-	-	(51)	(2,661)
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	18,434	7,468	8,492	2,084	-	1,466	37,944
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2016	4,127	1,273	382	-	-	524	6,306
ცვეთის დარიცხვა	2,309	636	126	-	-	158	3,229
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(91)	-	-	-	-	-	(91)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016	6,345	1,909	508	-	-	682	9,444
ცვეთის დარიცხვა	3,189	883	98	-	-	203	4,373
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(2)	(16)	(99)	-	-	(1)	(118)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	(1,508)	-	-	-	-	(2)	(1,510)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	8,024	2,776	507	-	-	882	12,189
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2016 წლის 31 დეკემბერი	10,389	4,889	2,236	2,269	4,790	714	25,287
2017 წლის 31 დეკემბერი	10,410	4,692	7,985	2,084	-	584	25,755

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცვეთას სრულად დაქვემდებარებული აქტივების ღირებულებამ ძირითად საშუალებებში შეადგინა, შესაბამისად, 3,649 ათასი და 2,237 ათასი ლარი.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 6,464 ათასი და 1,170 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნა უზრუნველყოფად საბანკო სესხებთან და საკრედიტო ხაზებთან მიმართებაში.

12. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების მოძრაობა 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის დასრულებულ წლებში ასე გამოიყურება:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2016	3,510	7,276	10,786
ღირებულება 31 დეკემბერი 2016	3,510	7,276	10,786
გადმოტანა დასაკუთრებული აქტივებიდან	-	1,878	1,878
გადმოტანა ძირითადი საშუალებებიდან	-	373	373
რეალიზაცია	-	(642)	(642)
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	3,510	8,885	12,395
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2016	-	726	726
ცვეთის დარიცხვა	-	221	221
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016	-	947	947
ცვეთის დარიცხვა	-	476	476
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(245)	(245)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	-	1,178	1,178
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბერს	3,510	6,329	9,839
2017 წლის 31 დეკემბერს	3,510	7,707	11,217

საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული ნაკვეთები მდებარეობს თბილისში, ბათუმში, ქობულეთისა და ჩაქვში.

2017 და 2016 წლების დეკემბრის მდგომარეობით, 5,955 ათასი და 6,347 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების საინვესტიციო ქონება საბანკო სესხებისა და საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფად იქნა გამოყენებული.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული იქნა შესაბამის დღეს ჯგუფის შიდა შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე. მათ საკმარისი გამოცდილება გააჩნიათ უძრავი ქონების შეფასების თვალსაზრისით. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრა აშშ დოლარში საბაზრო შესაღარი მიდგომით, რომელიც მსგავს ობიექტებზე ბოლო ტრანზაქციების ფასებს ითვალისწინებს. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება იყო, შესაბამისად, 18,777 ათასი და 11,537 ათასი ლარი.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

13. აქტივები სამშენებლო კონტრაქტიდან

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
კლიენტებისგან მისაღები ანგარიშწაყენებული თანხები სამშენებლო კონტრაქტების მიხედვით	50,806	30,710
კლიენტებისგან მისაღები ანგარიშწაყენებული თანხები სამშენებლო კონტრაქტების მიხედვით	12,470	-
	63,276	30,710
გამოკლებული: ამოუღებელი თანხების რეზერვი	(1,802)	(3,157)
სულ	61,474	27,553
მიმდინარე ნაწილი	45,404	22,112
გრძელვადიანი ნაწილი	16,070	5,441
	61,474	27,553

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამშენებლო მოთხოვნებში დაკავებების ოდენობამ შეადგინა, შესაბამისად, 8,422 ათასი და 5,960 ათასი ლარი.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის დასრულებულ წლებში, ჯგუფის სამშენებლო მოთხოვნების საშუალო საკრედიტო პერიოდი იყო 113 და 115 დღე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამშენებლო კონტრაქტების აქტივები, 5,894 ათასი ლარის ოდენობით, გამოყენებული იქნა უზრუნველყოფად საკრედიტო ხაზზე.

9 თვეზე მეტი ვადის მქონე სამშენებლო მოთხოვნები რეზერვირდება სავარაუდო ამოუღებელი თანხების საფუძველზე, რომელიც დგინდება წარსული გამოცდილების მიხედვით და რეგულარულად გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში არსებული ფაქტების გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის ხარისხის განსაზღვრისას, ჯგუფი განიხილავს თავდაპირველი აღიარების დღიდან საანგარიშო დღემდე კონტრაგენტის საკრედიტო ხარისხის ყველა ცვლილებას. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტთა ბაზა დიდი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი.

ამოუღებელი თანხების რეზერვის მოძრაობა:

	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	3,157	4,930
დამატებითი გაუფასურების რეზერვის ხარჯი	984	355
გაუფასურების რეზერვის ხარჯის ამოტრიალება	(2,339)	-
ჩამოწერა	-	(2,128)
ნაშთი წლის ბოლოს	1,802	3,157

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონია ვადაგადაცდილებული და გაუფასურების გარეშე დარჩენილი სამშენებლო მოთხოვნის ნაშთები.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

გაუფასურებული სამშენებლო მოთხოვნების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
3 თვემდე	-	-
3 თვე - 1 წელი	-	2,590
1 წელზე მეტი	1,802	567
სულ	1,802	3,157

14. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვა	ვადიანობა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
შპს ლუგო ტრეიდი	8%	2017	2020	3,266	-
შპს შენი ბათუმი	7%	2015	2018	1,971	4,777
შპს ბეტა ჯგუფი	8%	2017	2018	1,319	-
გოგი ვარშალომიძე	12%	2015	2018	389	397
შპს კასტორი	13%	2016	2018	185	-
რუსუდან მაზმიშვილი	12%	2015	2018	149	214
გიზა კაპიტალი	10%	2016	2017	-	291
სხვა		2015-2017	2018	806	88
სულ გაცემული სესხები				8,085	5,767
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი				(675)	(458)
გაცემული სესხები, წმინდა				7,410	5,309
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				3,266	152
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი				4,144	5,157
სულ				7,410	5,309

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 1,677 ათასი და 298 ათასი ლარი.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

15. მარაგები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნედლეული	15,432	6,302
დასაკუთრებული ქონება	1,623	3,107
სათადარიგო და გასახარჯი მასალები	1,266	939
საქონელი გზაში	290	-
სხვა	65	6
სულ მთლიანი მარაგები	18,676	10,354
გამოკლებული: მარაგებზე ხარალის რეზერვი	(522)	-
მარაგები, წმინდა	18,154	10,354

დასაკუთრებული აქტივები მოიცავს ბათუმის ცენტრში განლაგებულ კომერციულ ფართებს და სავაჭრო ცენტრებს და კურორტ კვარიათსა და ქობულეთში განლაგებულ საცხოვრებელ ბინებს. ამ აქტივების დასაკუთრება მოხდა გადახდისუნარო კონტრაქტების უზრუნველყოფის სახით დასაკუთრების შედეგად. ჯგუფი არ აპირებს რომელიმე აქტივის თავად გამოყენებასა და ამჟამად აქტიურად ეძებს პოტენციურ მყიდველს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,878 ათასი ლარი რეკლასიფიცირდა საინვესტიციო ქონებაში. იხილეთ შენიშვნა 12.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	4,908	3,676
გამოკლებული: ამოუღებელი თანხების რეზერვი	(1,325)	(1,248)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	3,583	2,428
მოთხოვნები შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან	3,169	3,169
თანამშრომელთაგან მისაღები თანხები	24	530
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	715	-
სხვა მოთხოვნები	3,908	3,699
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი	3,169	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	4,322	6,127
სულ	7,491	6,127

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის კლიენტების სამუდამო საკრედიტო პერიოდი იყო შესაბამისად 204 და 201 დღე.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

ჯგუფს სრულად აქვს რეზერვირებული ყველა 90 დღეზე მეტი ვადის სავაჭრო მოთხოვნა, რადგან არსებული გამოცდილების მიხედვით, 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული მოთხოვნების ამოღება, ჩვეულებრივ, შეუძლებელია. 6 თვიდან 1 წლამდე ვადის სავაჭრო მოთხოვნებზე რეზერვი დგება საპროგნოზო ამოუღებელი თანხების მიხედვით, წარსული გამოცდილების გამოყენებით. რეზერვი რეგულარულად გადაიხედება თითოეულ საანგარიშო დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
60-90 დღე	-	-
91-120 დღე	-	-
120 დღეზე მეტი	1,325	1,248
სულ	1,325	1,248

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის ხარისხის განსაზღვრისას, ჯგუფი განიხილავს კრედიტის გაცემიდან საანგარიშო დღემდე სავაჭრო მოთხოვნის საკრედიტო ხარისხის ყველა ცვლილებას. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტთა ბაზა დიდია და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. შესაბამისად, ხელმძღვანელობის აზრით, უიმედო ვალების რეზერვში კრედიტის რეზერვის დამატება საჭირო არ არის.

ამოუღებელი თანხების რეზერვის მოძრაობა:

	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	1,248	1,234
დამატებითი აღიარებული გაუფასურების რეზერვის ხარჯი	614	453
გაუფასურების რეზერვის ხარჯის ამოტრიალება	-	(107)
ჩამოწერა	(537)	(332)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,325	1,248

17. მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
მარაგებზე გადახდილი ავანსები	7,700	5,139
მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	6,466	7,618
მირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	555	264
სხვა გადახდილი ავანსები	115	-
	14,836	13,021
გამოკლებული: ამოუღებელი თანხების რეზერვი	(166)	(129)
სულ	14,670	12,892

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

18. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაღდი ფული სალაროში	-	7
ფული ბანკში	24,126	249
ვადიანი დეპოზიტები 3 თვეზე ნაკლები ვადიანობით	-	5,444
სულ	24,126	5,700

19. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებულ ავანსებს. ჯგუფი არ აწარმოებს მიღებული ავანსების ურთიერთჩათვლას სამშენებლო მოთხოვნების მიმართ, რადგან ავანსები მიიღება სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული კონკრეტული სამუშაოებისათვის და დაწესებულია ავანსების ამორტიზების კონკრეტული პირობები.

20. ნასესხები სახსრები

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვა	ვადანობა	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015
სს საქართველოს ბანკი	8%	28 სექტემბერი 2015	10 აპრილი 2018	1,204	882
შპს ლუგო ტრეიდი	13%	5 მარტი, 2015	31 დეკემბერი 2018	212	950
შპს ანაგი თბილისი	10%	13 ოქტომბერი 2015	31 დეკემბერი 2018	337	488
სს საქართველოს ბანკი	10%	18 მაისი 201	31 ივლისი 2017	-	4,678
სულ ნასესხები სახსრები				1,753	6,998

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილებები, მათ შორის ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილია ის ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კლასიფიცირდება ან მომავალში კლასიფიცირდება ფინანსური საქმიანობის ფულად ფინანსურ ნაკადებად.

	1 იანვარი 2017	წმინდა ფულადი ნაკადები (1)	წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი (არაფულადი ცვლილება)	31 დეკემბერი 2017
ნასესხები სახსრები	6,998	(5,371)	1,135	(1,038)	29	1,753
	6,998	(5,371)	1,135	(1,038)	29	1,753

(1) კონტრაგენტებისგან მიღებული სესხებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები წარმოადგენს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღებული სესხებიდან მიღებული შემოსავლისა და აღებული სესხების დაფარვის სხვაობას.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო ვალდებულებები მომსახურებისათვის ქვე-კონტრაქტორთა მიმართ	12,403	2,588
სავაჭრო ვალდებულებები მარაგებზე	5,923	3,447
სავაჭრო ვალდებულებები გრძელვადიან აქტივებზე	2,752	1,138
სულ ფინანსური ვალდებულებები	21,078	7,173
გადასახდელი ხელფასები	2,102	2,330
გადასახდელი დივიდენდები	263	-
სხვა ვალდებულებები	136	1,509
სულ არაფინანსური ვალდებულებები	2,501	3,839
სულ	23,579	11,012

22. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულების დადგენა - რეალური ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში. ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და რეალური ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შედის მე-3 დონის კატეგორიაში და განისაზღვრა ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სამშენებლო, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, გაცემული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები - ფიქსირებულ განაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს რეალურ ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

კაპიტალის რისკის მართვა - ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სესხებისა და კაპიტალის ფარდობა ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნასესხები სახსრები	1,753	6,998
ფული და ფულის ექვივალენტები	(24,126)	(5,700)
წმინდა ნასესხები სახსრები	(22,373)	1,298
საკუთარი კაპიტალი	95,161	71,776
სესხის ფარდობა კაპიტალთან, წმინდა	(23.51%)	1.81%

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები, სამშენებლო მოთხოვნები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სამშენებლო კონტრაქტებით კლიენტებისგან მისაღები თანხები.

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	24,126	5,700
სამშენებლო მოთხოვნები	49,005	27,553
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,752	6,127
გაცემული სესხები	7,410	5,309
ვადიანი დეპოზიტი 3 თვეზე მეტი ვადიანობით	10,000	-
სულ ფინანსური აქტივები	97,293	44,689
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,078	11,012
ნასესხები სახსრები	1,753	6,998
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,831	18,010

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
	1 = 2.5922	1 = 3.1044	1 = 2.6468	1 = 2.7940
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6,308	6	5,457	-
სამშენებლო მოთხოვნები	42,506	993	18,563	1,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,139	1	1,245	-
გაცემული სესხები	5,544	-	5,309	-
სულ ფინანსური აქტივები	55,497	1,000	30,574	1,212
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,638	45	1,599	178
აღებული სესხები	1,541	-	5,628	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,179	45	7,227	178
წმინდა სავალუტო პოზიცია	44,318	955	23,347	1,034

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა	
	აშშ დოლარი / ლარი	აშშ დოლარი / ლარი	ევრო / ლარი	ევრო / ლარი
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/(ზარალი) გადასახადამდე	8,864	(8,864)	191	(191)
ზეგავლენა კაპიტალზე	8,864	(8,864)	191	(191)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა	
	აშშ დოლარი / ლარი	აშშ დოლარი / ლარი	ევრო / ლარი	ევრო / ლარი
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/(ზარალი) გადასახადამდე	4,669	(4,669)	207	(207)
ზეგავლენა კაპიტალზე	3,969	(3,969)	176	(176)

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი (არაფიქსირებული) საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება..

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილებს, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თავისთავის ასახვას უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ის, რომ კლიენტი აღმოჩნდება გადახდისუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. ყველა კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის მიღების პროცედურას გადის. შედეგად, ჯგუფი მხოლოდ სანდო საკრედიტო მდგომარეობის კლიენტებს არჩევს. კლიენტებს კრედიტის ლიმიტიც უწესდებათ.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში მოცემულისგან, რადგან ეს თანხა დისკონტირებულ ფულად სახსრებს ეფუძნება. ცხრილში მოცემულია როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2017						
ნასესხები სახსრები	212	337	1,204	-	-	1,753
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,506	923	4,150	-	-	23,579
	18,718	1,260	5,354	-	-	25,332
31 დეკემბერი 2016						
ნასესხები სახსრები	517	-	6,481	-	-	6,998
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,949	1,835	3,228	-	-	11,012
	6,466	1,835	9,709	-	-	18,010

23. გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, ჯგუფის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თაითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგინაშთები და ტრანზაქციები:

31 დეკემბერი 2017				
	სუბიექტები ჯგუფის ერთობლივ კონტროლს ქვეშ		სხვა	სულ
მფლობელები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,298	3,055	4,352
სამშენებლო მოთხოვნები	-	2,350	-	2,350
ნასესხები სახსრები	-	239	-	239
გაცემული სესხები	-	5,237	1,317	6,554
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	263	3,947	826	5,036
შემოსავალი მშენებლობიდან	-	94	-	94
სხვა შემოსავალი	-	451	5	456
საიჯარო ხარჯები	-	27	-	27

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი

ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

31 დეკემბერი 2016				
სუბიექტები				
ჯგუფის				
ერთობლივ				
მფლობელები	კონტროლს ქვეშ	სხვა	სულ	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	265	7	3,184	3,456
სამშენებლო მოთხოვნები	-	3,173	-	3,173
ნასესხები სახსრები	-	6,998	-	6,998
გაცემული სესხები	-	5,309	-	5,309
გრძელვადიან აქტივებში				
გადახდილი ავანსები	-	959	-	959
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	66	-	66
სხვა შემოსავალი	-	30	-	30

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, რომელიც თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიციტებითაა წარმოდგენილი, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში შეადგინა 2,013 ათასი და 1,703 ათასი ლარი.

24. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები – 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს საკონტრაქტო სამშენებლო ვალდებულება გააჩნია შემდეგი კლიენტების მიმართ:

31 დეკემბერი 2017			
აშშ დოლარი	ლარი	ევრო	
მშენებლობის ვალდებულება	92,100	1,431	-

31 დეკემბერი 2016			
აშშ დოლარი	ლარი	ევრო	
მშენებლობის ვალდებულება	61,247	11,399	-

სამართლებრივი დავები - 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაუირიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

გადასახადები – საქართველოს კომერციულ და საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი მუხლების არსებობის გამო, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი და ასევე საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე ჯგუფის საქმიანობისას შემთხვევითი დასკვნების გაკეთებისას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შესაძლებელია საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით.

ანაგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ცხრილებში მოცემული რიცხვები წარმოდგენილია ათასობით ლარში

წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირიან ასოცირების ხელშეკრულებასთან იყო დაკავშირებული. 2017 და 2016 წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში. გარდა ამისა, საქართველოში სამშენებლო სექტორზე გავლენას ახდენს ადგილობრივი კანონმდებლობა.

ხელმძღვანელობა უძღურია, განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს როგორც სამშენებლო სექტორზე, აგრეთვე მთლიანად ეკონომიკაზე და შესაბამისად, დაადგინოს, თუ რა ეფექტი ექნება მათ ჯგუფის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N180983302

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

16.08.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ნინო ხოფერია

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

+995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედების

43901054504518

ინდივიდუალური ნომერი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის
შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქარი
ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დაო
ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. №28/2, ვადასტურებ უმაღლესი განათლების ინგლისურ ენის დიპლომის
(N 000258) მქონე მთარგმნელის, ინგა რეხვიაშვილის დაბადებული 10.02.1986, პ/ნ 10001017562,
მცხოვრები: ბოლნისი ფარნავაზ მეფის ქ. N 64, ხელმოწერის სინაძღვილეს. მთარგმნელი
გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის
გარანტიას.

დოკუმენტი შედგენილია სამ ეგზემპლარად.

დოკუმენტზე დასმულია 141 ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური - 282.00 (ორასოთხმოცდაორი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის
საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი
გადახდებიდან წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის
დადგენილების მუხლი 31-სა, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი)
ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე 3.1 მუხლის
შესაბამისად. სულ გადახდილია 334.76 (სამას ოცდათოთხმეტი) ლარი და 76 (სამოცდათექვსმეტი) თეთრი.

ნოტარიუსი



ნინო ხოფერია

შპს “ანაგი“

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად
- მმართველობის ანგარიშების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მიხედვით.
- აგრეთვე, მმართველობის ანგარიშებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვედნილობაზე აუდიტირებულ ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებასთან.


2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 29 ნოემბერს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანაგის დირექტორთა საბჭოს სახელით:


გენერალური დირექტორი
ირაკლი გოგოლიშვილი



29 ნოემბერი 2018
თბილისი, საქართველო


ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩიტაშვილი

29 ნოემბერი 2018
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანაგის მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანაგის („კომპანია“), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფორმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად, გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის, დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების, პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 7 აგვისტოს. 2017

დელიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელიტ ტუმი ტომატო ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

© 2018 შპს დელიტი და ტუმი. ყველა უფლება დაცულია.

წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ, პროფესიული განსჯის საფუძველზე, შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

დასკვნა

ჩვენი აზრით:

- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედნილია 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან.



თამარ ნაცვლიშვილი
დელოიტი და ტუშის სახელით

Deloitte & Touche

29 ნოემბერი 2018
თბილისი, საქართველო

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს „ანაგი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ანაგი“) დაფუძნებულია საქართველოში, 1995 წლის 13 ნოემბერს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიას 100%-იანი წილის ეფექტური მფლობელი და შესაბამისად საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის ბ-ნი ზაზა გოგოტიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას სამოქალაქო-სამრეწველო მშენებლობა წარმოადგენს. კომპანია დამკვეთებს სთავაზობს საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების სრულ პაკეტს საპროექტო სამუშაოებით დაწყებული, ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაბარებით დასრულებული.

- საცხოვრებელი, სასტუმრო, საზოგადოებრივი, სამრეწველო და ინდივიდუალური საცხოვრებელი დანიშნულების ობიექტების მშენებლობას;
- შიდა დიზაინის დამუშავებასა და სამუშაოების შესრულებას;
- გარე მოპირკეთების სამუშაოების წარმოებას;
- საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების მენეჯმენტს;
- ავტოტრანსპორტითა და სამშენებლო მექანიზაციით მომსახურებას;
- საშენი მასალების და ნაკეთობების ხარისხსა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად ლაბორატორიულ მომსახურებას;
- უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების უფასო კონსულტაციებს სამშენებლო საქმიანობის ორგანიზების, ტექნოლოგიის, სამართლებრივი პროცედურების და დარგის სხვა მიმართულებების თაობაზე.

2011 წლიდან კომპანიაში დაინერგა და ფუნქციონირებს ISO 9001 ხარისხის მართვის სისტემა. კომპანიის მთავარი პრიორიტეტია როგორც მართვაში, ისე უშუალოდ მშენებლობაში, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სისტემის დანერგვა.

კომპანია წარმოდგენილია 2 ოფისის სახით, თუმცა თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული ჰყავს 1,684 ადამიანი (2016 წლის 31 დეკემბერი: 1,425 ადამიანი).

კომპანიას ჰყავს სამი მოქმედი შვილობილი კომპანია, რომელთა წილები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცვლელია:

	წილი %	საქმიანობის სფერო
შპს ლუგო	65%	ბეტონის წარმოება
შპს ანაგი მექანიზაცია	60%	სამშენებლო ტექნიკის გაქირავება
შპს ანაგი ბათუმი	100%	უძრავი ქონების განაშენიანება

ასევე კომპანიას ჰყავს ერთი 100%-იანი შვილობილი კომპანია - შპს "ანაგი ფიზ", რომელიც არის უმოქმედო.

კომპანია და შვილობილი კომპანიები ერთობლივად შემდგომში მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“.

შპს ლუგო უახლესი ტიპის ბეტონის მწარმოებელ ქარხანას ოპერირებს, რომელიც აწარმოებს თანამედროვე მშენებლობისთვის საჭირო ნებისმიერი კლასის ბეტონის პროდუქციას. კომპანიას აქვს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით სერტიფიცირებული ლაბორატორია, აღჭურვილი იტალიაში წარმოებული შემოწმების პროცესისთვის საჭირო ყველა ხელსაწყოთი.

შპს ანაგი მექანიზაციის ძირითადი საქმიანობა, საკუთარ მფლობელობაში არსებული სამშენებლო ტექნიკის გაქირავება. შპს ანაგი მექანიზაციის ძირითადი კლიენტი არის დედა კომპანია შპს ანაგი. შპს ანაგი მექანიზაციის ერთ-ერთ მიმართულებას ისეთი სამშენებლო აღჭურვილობით მომსახურება წარმოადგენს, როგორიცაა სამშენებლო ხარაჩოები და დგარები. კომპანია სთავაზობს სამშენებლო ტექნიკით მომსახურებას და აღჭურვილობის ქირავნობას ნებისმერ დაინტერესებულ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. კომპანიის განკარგულებაშია 120 ერთეულზე მეტი მრავალფუნქციური მანქანა-დანადგარი, რომელთაც კვალიფიციური ოპერატორები და ტექნიკოსები ემსახურებიან.

შპს ანაგი ბათუმის ძირითადი საქმიანობაა დედა კომპანიის ანალოგიური საქმიანობა ბათუმში.

2. განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფი, რომელიც უკვე წლებია სამშენებლო საქმიანობით არის დაკავებული, ბოლო პერიოდის მთავარ პრიორიტეტად წარმოებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს და სამშენებლო ტექნოლოგიების დახვეწას ისახავს მიზნად.

ამ ამოცანის ეფექტურად მიღწევის მიზნით, 2017 წელს კომპანიაში შეიქმნა „ტექნოლოგიების და ხარისხის სამსახური“, რომლის საქმიანობაც ამ ორი მიმართულებით პროცესების დახვეწას მოიაზრებს.

1) ხარისხის კონტროლის მიმართულება - მიზანშეწონილად ჩაითვალა კომპანიის შიგნით დამოუკიდებელი გუნდის შექმნა, რომელიც ჯანსაღ ოპონირებას გაუწევდა წარმოების დეპარტამენტს და გააუმჯობესებდა, მოიყვანდა მოთხოვნილ სტანდარტებთან საბოლოო პროდუქტს, დამკვეთთან მის წარდგენამდე. ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო აამაღლებდა კომპანიის პრესტიჟს და ასევე, შეამცირებდა ფინანსურ და რესურსულ დანახარჯს პოტენციური დეფექტების აღმოსაფხვრელად.

მიმართულების განვითარებისთვის დაიგეგმა მოქმედების გეგმა, რაც მოიაზრებდა შემდეგ ეტაპებს:

- პირველი - წარმოების დეპარტამენტთან ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სარგებლიანი იქნებოდა როგორც შემსრულებლებისთვის, ასევე ხარისხის გუნდისთვის;
- მეორე - კომპანიაში არსებული გამოცდილების და ქვეყანაში მოქმედი ნორმების საფუძველზე ხარისხის მოთხოვნების ჩამოყალიბება, რაც გახდებოდა კომუნიკაციის ძირითადი დოკუმენტი;
- მესამე - ხარისხის ინჟინრების და მათი ასისტენტების გუნდის ფორმირება და შესაბამისი სწავლების უზრუნველყოფა;
- მეოთხე - „საველე“ პრობებში მუშაობის დაწყება, აღრიცხვის და პროგრესის კონტროლის მექანიზმების დახვეწა;
- მეხუთე - შეგროვებული ინფორმაციის არქივაციის და მის საფუძველზე ძირითადი პრობლემური საკითხების (დეფექტების) პრევენციის ღონისძიებების შემუშავება;

- მეექვსე - მიღებული გამოცდილების და ინფორმაციის საფუძველზე ნორმატიული მოთხოვნების დახვეწა.

დღეს დღეისობით, პროცესის პირველი, ყველაზე რთული ეტაპი დასრულებულია, რაც საქმიანობის სფეროში პასუხისმგებლობების და ვალდებულებების გადანაწილების მექანიზმებს მოიცავდა. შესაძლებელი გახდა წარმოების გუნდის დარწმუნება, რომ ახალი ინიციატივა იყო მიმართული კომპანიის საერთო ინტერესებისთვის და არა რომელიმე მხარისთვის დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამოსავლენად. შეიქმნა ეფექტური გუნდი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტდა ახალგაზრდა საინჟინრო კადრებით, შემუშავდა პირველადი დოკუმენტაცია. ამ ეტაპზე, იწყება მუშაობა უკვე შეგროვებული მასალების გამართული არქივაციისთვის და შესაბამისი ანალიზის საწარმოებლად, რომელიც დაასრულებს პროექტის მეხუთე და მეექვსე ეტაპებს. ამ პროცესის დასრულების სავარაუდო ვადად 2019 წლის მეორე ნახევარი მოიაზრება.

2) სამშენებლო ტექნოლოგიების მიმართულება - ამ მიმართულების განვითარების ინიციატივა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული:

- კომპანიაში არსებული მნიშვნელოვანი ტექნიკური გამოცდილების თავმოყრა და სისტემატიზაცია;
- ხშირად გამეორებადი სამშენებლო ხარვეზების მიზეზების დადგენა და მათი პრევენციისთვის ალტერნატიული მეთოდოლოგიის დანერგვა-დამუშავება;
- ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ოპტიმალური გადაწყვეტილებების დამუშავების გზით;
- დარგში არსებული გლობალური ინოვაციური ტექნოლოგიური მიმართულებების შესახებ ინფორმაციის მუდმივი მოძიება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ მიმართულების განვითარება მოიაზრება ძირითადად ხარისხის ჯგუფის ინჟინრების ბაზაზე, საქმიანობის აქტიურ ფაზაზე გადასვლა ნავარაუდევია მომავალი წლის მეორე ნახევრიდან თუმცა, ეტაპობრივი მუშაობა უკვე დაწყებულია და გულისხმობს:

- პირველი - საინჟინრო პერსონალის დასაქმებას „ანაგი“-ს ობიექტებზე როტაციის პრინციპით, რათა მაქსიმალურად იყოს გამოყენებული „ანაგი“-ს ხაზის მოწინავე ინჟინრების ცოდნა და გამოცდილება;
- მეორე - ობიექტებზე დანახული პრობლემების ფიქსაცია-დაარქივება;
- მესამე - სწავლების კურსების ორგანიზება, სადაც პრიორიტეტულია მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლების მიერ ორგანიზებული ტრენინგები და სემინარები;
- მეოთხე - აქტუალური ტექნიკური პრობლემების საფუძველიანი გადაჭრისთვის თემატური მიების ორგანიზება და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება;
- მეხუთე - კომპანია „ანაგი“-ს თანამედროვე ტექნოლოგიური სტანდარტების შიდა მოხმარების სახელმძღვანელოს შექმნა.

ჩამოთვლილი გეგმიდან პირველი სამის განხორციელება უკვე დაწყებულია. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მესამე პუნქტს, რაც მოიაზრებს ტრენინგების და სხვა სწავლებების გზით, თეორიული მომზადების დონის ამაღლებას. ამ მიმართულების ინჟინრები მაქსიმალურად არიან ჩართულები „ანაგში“ სხვადასხვა მწარმოებლების მიერ ორგანიზებულ პრეზენტაციებში და სემინარებში. 2017 წელს მათ ჩაუტარდათ 3 დღიანი დარგობრივი ტრენინგი Caparol Georgia-ს ბაზაზე. ანალოგიური ტრენინგის

ორგანიზების ინიცირება მოხდა გერმანულ მწარმოებელ KNAUF-თან და მიმდინარეობს დეტალების დაზუსტება.


მეოთხე და მეხუთე პუნქტების განსავითარებლად, მუშაობა მიმდინარეობს იმ პერსპექტიული ინჟინრების გამოვლენაზე, რომლებიც დარგობრივად ჩაუდგებიან ამ პროცესს სათავეში. აქტიური ფაზის დაწყება 2019 წლის მეორე ნახევარში არის ნავარაუდები, ხოლო მნიშვნელოვანი წინსვლის მიღწევა 2020 წლისთვის.

3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, კომპანიის 2017 წლის შემოსავალი შეადგენს 200,094,000 ლარს, რომლის 99% წარმოადგენს შემოსავალს სამშენებლო საქმიანობიდან.

კომპანიის შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კომპანიას აქვს გრძელვადიანი კონტრაქტები, რომელთა ძირითადი ნაწილის განხორციელებაც დაიწყო 2016 წელს, თუმცა ამ კონტრაქტებიდან შემოსავლის ძირითადი ნაწილის აღიარება მოხდა 2017 წელს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

კომპანია ვარაუდობს, რომ მისი საქმიანობა 2018, 2019 წლებში გაგრძელდება სტაბილურად. კომპანიის შემოსავლების დინამიკა 2009 წლიდან 2017 წლის ჩათვლით მოცემულია დიაგრამაში:



რაც შეეხება კომპანიის კონსოლიდირებულ მონაცემებს, კომპანიის კონსოლიდირებული შემოსავალი 2017 წლის განმავლობაში შეადგენს 204,982,000 ლარს, რომლის 97% წარმოადგენს შემოსავალს სამშენებლო საქმიანობიდან.

კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:

კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებელი

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	157%	91%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	167%	180%

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებელი

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	168%	92%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	174%	185%

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოანგარიშებულია დებიტორული მოთხოვნების, მოკლევადიანი მისაღები სესხების, მიმდინარე დეპოზიტების და ფულის და ფულის ეკვივალენტების ჯამის შეფარდებით სავაჭრო და სხვა ვალდებულებების, გადასახდელი გადასახადების და მიმდინარე ნასესხები თანხების ჯამთან.

ჯგუფს არ აქვს ლიკვიდურობის პრობლემა და ხელმძღვანელობა თვლის, რომ შემდეგს ყველა მიმდინარე ვალდებულების დაფარვას დამატებითი სახსრების მოზიდვის გარეშე.

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები

	2017	2016
წმინდა მოგების მარჟა	13%	12%
მთლიანი მოგების მარჟა	16%	17%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	24%	16%

**კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები
(კონსოლიდირებული)**

	2017	2016
წმინდა მოგების მარჟა	14%	12%
მთლიანი მოგების მარჟა	17%	18%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	26%	15%

უკუგების კოეფიციენტის დინამიკა გვიჩვენებს, რომ მენეჯმენტი ეფექტურად მართავს კომპანიის აქტივებს მოგების გენერირებისთვის, ხოლო გაყიდვების რენტაბელობიდან ჩანს, რომ კომპანიას აქვს უნარი გამოიმუშაოს მოგება თავისი ამონაგებიდან.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ჯგუფი ცდილობს ხარისხის გაუმჯობესებას და ამისთვის გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული აქვს, რისი შედეგიც აისახა დეფექტების შემცირებაში 2017 წელს 2016 წელთან შედარებით.

ჯგუფი წლების განმავლობაში ოპერირებს ქართულ ბაზარზე და პირდაპირ კონკურენტებად თვლის 3 კომპანიას. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კონკურენტებისგან განსხვავებით, რომლებიც ოპერირებენ

გარკვეულ სამშენებლო სექტორებში, ჯგუფი ოპერირებს ამ კონკურენტების ყველა სექტორში ერთად, რაც გარკვეულწილად ამყარებს კომპანიის სიძლიერეს ბაზარზე. ჯგუფი თანამშრომლობს საქართველოს უმსხვილეს დამკვეთებთან, რაშიც მას ეხმარება მისი ბრენდი და რეპუტაცია, როგორც სტაბილური და საიმედო კომპანიის - 28 წლიანი გამოცდილება, დამკვეთის ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომები, ფინანსური მდგრადობა და აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულება.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ მისი წარმატება დიდ წილად განპირობებულია მისი გუნდის მაღალი პროფესიონალიზმით. სამშენებლო პროცესში ჩართული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის უმეტესობის სამუშაო გამოცდილება მშენებლობაში 10 წელს აღემატება.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

4.1 საბაზრო რისკები და მისი მართვის მექანიზმები

ამ დროისთვის ჯგუფი ძირითად გაურკვევლობად მიიჩნევს მოთხოვნას ბაზრის მხრიდან დიდ პროექტებზე, როგორცავე ამჟამად ახორციელებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფი გათვლებით მსგავსი ტიპის გაურკვევლობები არ იარსებებს 2018 და 2019 წლებში.

ჯგუფის საბაზრო რისკები შეიძლება განიმარტოს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულების მერყეობა საბაზრო ფასების ცვლილების გამო. ეს ძირითადად შესაძლოა გამოწვეული იყოს სავალუტო და საპროცენტო რისკისგან.

4.1.1 სავალუტო რისკი

რაც შეეხება რისკებს, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას არის ვალუტის გაუფასურების რისკი, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის ეკონომიკური ვალუტის (ქართული ლარი) მერყეობა მნიშვნელოვანია. ბოლო წლების განმავლობაში ვალუტის გაუფასურებას აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე და მომგებიანობაზე, ჯგუფს აქვს გაფორმებული კონტრაქტები აშშ დოლარში და ძირითადი ხარჯებიც აქვს აშშ დოლარში, თუმცა არსებობს კონტრაქტები (მიმდინარე 1 კონტრაქტი), რომლებიც გაფორმებულია ლარში. ამ რისკის მიტიგაციის მიზნით კომპანიას აქვს განთავსებული აშშ დოლარები საბანკო ანგარიშზე.

4.1.2 საპროცენტო რისკი

ჯგუფს საპროცენტო რისკის მიტიგაციის მიზნით ნასესხები თანხები და გასესხებული თანხები აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. ჯგუფი არ ელოდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას. შესაბამისად ჯგუფის ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება არ შეიცვლება საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო.

4.2 საკრედიტო რისკები და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს აქვს გარკვეული საკრედიტო რისკი, რაც გულისხმობს იმას რომ მისი კონტრაგენტები ვერ შეძლებენ ჯგუფის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას. ჯგუფის საკრედიტო რისკი ძირითადად არის დებიტორული მოთხოვნებისგან და გაცემული სესხებისგან.

ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკის მიტიგაციის მიზნით დანერგილი პროცედურები, რომლის მიხედვითაც ჯგუფი აფასებს კონტრაგენტის გადახდისუნარიანობას წარსულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე ჯგუფს აქვს განსაზღვრული მაქსიმალური საკრედიტო ლიმიტი კონტრაგენტებისთვის.

4.3 რეგულაციის რისკები და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფი ასევე დგას რეგულაციებთან დაკავშირებული რისკების წინაშე, რომლებიც გულისხმობს იპოთეკური სესხების გაცემაზე შეზღუდვების დაწესებას ბანკებისთვის, რაც დიდწილად შეამცირებს მსგავსი სესხების გაცემას და შესაბამისად მოთხოვნას საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე, რაც თავის მხრივ, აისახება დეველოპერი კომპანიების ბრუნვაზე და მათ სამომავლო მშენებლობების შემცირებაზე და შესაბამისად ჯგუფის დაკვეთებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემოსავლები შეადგენს კომპანიის სრული შემოსავლების მცირე ნაწილს რაც არ უქმნის ჯგუფის ფუნქციონირების საფრთხეს.

4.4 საოპერაციო რისკები და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფის ძირითადი საოპერაციო რისკები მდგომარეობს ბაზრის მოთხოვნების შესრულებაში, იმ ხარისხით, რომელსაც კომპანია პირდება თავის მომხმარებლებს, იმისთვის, რომ ჯგუფმა არ შეექმნას პრობლემები რეპუტაციასთან და შემდგომ ოპერირებასთან დაკავშირებით. იმისთვის, რომ ჯგუფს არ შეექმნას მსგავსი პრობლემები, ჯგუფში ფუნქციონირებს ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის პროცესების მონიტორინგს, ხარვეზების აღმოფხვრას და დეფექტების შემცირებას. ასევე ჯგუფის დასაქმებული ჰყავს მაღალპროფესიონალი და გამოცდილი კადრები.

4.5 ლიკვიდურობის რისკები და მისი მართვის მექანიზმები

ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულ ინფორმაციაში განხილულია თუ რატომ არ აქვს ჯგუფს ლიკვიდურობის პრობლემა, რაც გულისხმობს იმას, რომ ჯგუფის მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. იმისთვის, რომ ჯგუფს არ შეექმნას ლიკვიდურობის პრობლემა და მან შეძლოს ყველა ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვა, ამ მიზნით ჯგუფს აქვს საბანკო ოვერდრაფტიც. ლიკვიდურობის რისკის მიტიგაციის მიზნით, კომპანიას აქვს დივერსიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორიცაა საბანკო დეპოზიტები, გასესხებული თანხები და სავაჭრო მოთხოვნები.